

ლიტერატურული გაზეთი

№1 (209) 12 - 25 იანვარი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

რეზო თაბუკაშვილი

უცხო სოფელი

„უბერავს ეს შობელძალი“ — სოფლის ბიბლიოთეკასთან, მოტიტვლებულ მდელიზე წამოგორებულ მახოიას დაჰყურებდა ლოდზე ჩამომჯდარი ალექსი. წითელ ტყემალს მიირთმევდა და ამ ჩია, ქაჩალი კაცის მთვრალ სიტყვებს უსმენდა დაკვირვებით. ცდილობდა, გაერჩია, სად წაღდს ამბობდა და სად იგონებდა თუ ბლანდავდა თავისას. ორი-სამი წიქა დასჭირდა მახოიას ამ უვარგის მდგომარეობამდე მისაღწევად. ალექსიმ შეატყო, რომ ფრიად ცუდად გრძობდა თავს სოფლის მცხოვრები ნაბახუსევზე და თეთრი მათარით წამოღებული არაყი გაუნოდა სულის მოსათქმელად. ასეთ მყისიერ რეაქციას ალკოჰოლზე წაღდა არ ელოდა. თვალის დახამხამებაში ყლუპ-ყლუპ, წვეთ-წვეთ გადაკვრაში გამოითრო მახოია მათარის პირთან ორჯერ მიტანით, და მოაყოლა და მოაყოლა ამბების კორიანტელი, რომელთა გარჩევაც გზადაგზა ჭირდა და ჭირდა. სად და რა აღარ იყო იგი: მატარებლის გამცილებლად უმუშავია. მემანქანეობაზე ოცნებობდა, მაგრამ მისი ბედის რომ ასე და ისე, ცუდმა ხალხმა დაუნაღმა მაქეთ სავალი გზები, მტრებმა, ბოროტებმა და შურით აღვსილებმა, თუმცა მისი დროშის აფრიალების და „დაბროს“ მიცემის გარეშე არ დაძრულა არც ერთი ვაგონი, აპა?! აიქნევდა ჭუჭყისგან ფერდაკარგულ დროშას, მემანქანეს მისცემდა ნიშანს და მხოლოდ ამის შემდეგ „დგფნ“ იძრებოდა მატარებელი. ურალს იქით უთრევია უგრძელესი „სასტავები“, ოცდათექვსმეტვაგონიანიც, აპა?! პატიმრებსაც დარაჯობდა საყარაულო „ვიშკაზე“ მდგომი, პულიმიოტმომარჯვებული. „სტროგიზე სტროგი“ ზონა ყოფილა. მთლად ხელიდან გავარდნილ, ურკებს ქე რო ეძახიან, ქურდებს და ათას გათახსირებულს არბენინებდა დახეული ბუშლატებით... ჰოდა, დედას უტყნავდა, უჰ! მუშტმოღერებით იხსენებდა. ძმაკაცი ყავდა, ყირგიზი, არ ახსოვს სახელი, მხეცი ბიჭი, უჰ, უმაგრესი, და სულ პულიმიოტებით დაცხრილეს სამი ცალი, ქე რო ბუშლატებიანები იყვნენ, სულ ქურდები სამივენი, უჰ, ტრატატატრატატა!.. ყირგიზი მაგარი იყო, მარა, თავად რო არ დეესნრო, არ დეეყვირა „სტოი“ და არ აეკაკანებინა პულიმიოტი... სასტაული პულიმიოტი, უჰ!.. ის აბდალი თავისი ჩუმეკი თვალებით რას დეინახავდა? მერე კი, იცოცხლე, მოყოჩაღდა მის ხარჯზე და მედლებიც დეიმსახურეს, აპა?!. საიდუმლო შახტაზე გედეიყვანეს მერე. იქ, მთლად მკვდრები ქე რო ეგონათ სულ, იმფერ პატიმრებს ამუშავებდენ. რაცხა რადიაცია იყო იქ ბევრი და რაკეტას აკეთებდენ, ნახა თვითონ... მარა მაქანე სუ! ფიცი აქვს დადებული თავისი ფეჩათით ბლანკზე. რო გეიგონ, ახლა ალიკას რო უყვება ამეებს, ჩამოაკითხავენ ამ მიკარგულ სოფელში, არ დეიზარებენ და „მახოია, შე ენაამოსაძრობო, კ სტენკე!“ ეტყვიან ეგრევე სალმის მაგიერ... ჰოდა, ამიტომ სუ! თორე შეიძლება ალიკაც მიუყენონ გვერდში, აპა?!

„უბერავს ეს შობელძალი“ — კვლავ გაიფიქრა ალექსიმ და თავადაც მოიყუდა მონდომებით სატურჩეგანმენდილი მათარა.

— გეყოფა შენ, — გალიზიანებულად, ბრაზიანადაც უპასუხა მინაზე გაშხლართულ მახოიას ხელის გამონვდენაზე.

— არ მეკუთვნის, თუ რაია აი... და... — ბოდავდა. ადგომის მცდელობებისას გვერდზე ვარდებოდა. ალექსი არ მიხმარებია. იჯდა უკვე თავისად მონათლულ ლოდზე და დაბლობზე, მთების ძირში გაშლილ სოფელს გადაჰყურებდა.




ტარიელ
ჭანტურია

პარლამია შეთი გასაღებია! გასაგებია?

— სამოთხის გასაღები
ჯიბეში გვიდევს ყველას!
მტერი გვგონია იგი
და ვითხოვთ მუდამ შველას!
...დავტოვებთ წუთისოფელს:
ის — გუშინ! მე — დღეს! შენ — ხვალ...
თუ არ მოკვდები, ბრიყვო,
ედემში როგორ შეხვალ!
სიკვდილი... — მიდით, ლანძღეთ
სამოთხის გასაღები!
ის, რაც ვთქვი, ვერ ვთქვი კარგად?
არ იყო გასაგები?
აბა რატომ არ ვჩქარობთ?
სიკვდილს რატომ არ ვჩქარობთ?
კითხეთ, ბატონო, ღმერთებს —
ზევსს, ანდა იმას — ქარონს?
გვსურს, მოვიხადოთ ჩვენი
ამქვეყნიური ვალი,
მაგრამ ხომ ყველას მუდამ
იქეთ გვიჭირავს თვალი —
კაცობრიობა მთელი
მიშტერებული ედემს...
კითხეთ რაიმე ევას,
კითხეთ რაიმე ადამს...

II-III

IV-V





დასაწყისი პირველ გვერდზე

მეხუთე დღეა, აქ არის. ძმაცაცმა დაუთმო სოფლის სახლი. დაღალა თბილისმა. ქეთისთანაც აერია ურთიერთობა. ბავშვებიც არდადეგებზე დაითხოვეს. გუნდის შეკრებაზე წასასვლელი ფული არ შეძლებული მშობლები. იაფიანი მანქანებით, ხშირად ფეხითაც აკითხავდნენ ნავარჯიშებ შვილებს. თორმეტ წლამდე ასაკის მოცურავეთა გუნდს წვრილიდა ალექსი. სამი წლის წინ გამოუძებნეს ეს სამსახური ახლოობებში. საყვარელი საქმე და დაბოლოებული კი აქვს სხვა პროფილის, მაგრამ ბუნებაში აღარ დატოვეს ამ ქვეყანაში მისი პროფესია. ფაფუ, უჭირს სახელმწიფოს, რაღა დროს მეცნიერული კვლევებია, თანაც გეოგრაფიაში.

დროული გამოდგა მეგობრის შემოთავაზება. დათანხმდა, ბევრი ფიქრის გარეშე.

მეხუთე დღეა, სოფელში არის. ვერ დაიტენა ჯერ აქაური მზით სათანადოდ. ჯერ კიდევ წითლად ანათებს დამწვარი ბეჭებით და შუბლით, ვერ გამოქვდა გამჯდარი ფერით. ჰა! დროა უკვე, მიიღოს ეს სოფელი სრულად, სათავისოდ, მაგრამ ჯერ არა, ჯერ ისევ გზაში ხარ, ვერ ჩამოხვედი ბოლომდე. ალბათ, ბევრსაც არ ირჯება დროებით აქ დასამკვიდრებლად, საანაბეჭდო სივრცის მოსარგებლად, მოსახელთებლად. არადა, მაგისტრის არის ქალაქიდან გამოქცეული. დაის ბევრს, ყოველ დღით გრძელ მოციონს აკეთებს და ზღაპრულ წყაროში, რკინის მილიდან მსხვილად გადმოხეთქილში, ეყუდება კისრით, შიშველი ტანით. საღამოობით ბურთს აგორებს ბავშვებთან ერთად სტადიონზე. მეჩხერი მდინარის პირას სეირნობს თავდახრილი. ქვებს აკვირდება საინტერესოს და განსხვავებულის აღმოსაჩენად. ვერაფერს მიაგნო. ზღვის სანაპიროსთან შედარებით, აქ არჩევანი მცირეა. უშედეგოდ დაჰყურებს სხვადასხვა ზომის შეფერილობით ერთნაირად მონაცრისფრო ქვებს. ვერ იპოვა საჭირო, ყურადღების მიმპყრობი და ცოცხალივით, სულიერივით აღსაქმელი. ემალებოდნენ. კარგად ეძებდა, მაგრამ ეტყობა, არ დამდგარიყო დრო მათი დანახვისა, რათა მერე გემრიელად შეეგუნდებინა და დაეწყო სროლა დამიზნებით, მკლავის ძლიერი მოქნევით.

ვერ დადგა. შეიძლება დგას კიდევ და ვერ ხვდება. მისი მთავარი „მე“ დგას და დანარჩენები დაქრან, ქვებს ჭვრეტენ, მთის წყალს ეტანებიან, ღვინოს აყოლებენ ზომიერად, და ვერ მიმხვდარან დაბრუნებას, შეერთებას მთავარ „მესთან“, ალექსისთან ალიკებთან. ეტყობა, ეგრეა საჭირო, იბოდილონ თავიანთ ხოშხე.

ბავშვობასთან დაბრუნება სიამოვნება და ორმოცდაათ წელს გადაბიჯებულ ალექსის. რჩევასაც დაეკითხებოდა ხოლმე საკუთარ თავს წარსულში, ღრმად ბავშვობაში, ოთხი-ხუთი წლისას. ბევრ დაკარგულს პოულობდა მასთან. მართალი და უტყუარი ხედვა ჰქონდა ამ ასაკის ალექსის, ბრძენი და თითქმის უმეტდომო იყო. ხმას არ იღებდა. გამოხედვით ანიშნებდა სათქმელს ხის უზურგოს სკამზე მჯდომი, მშვიდად მუხლებზე ხელებდაწყობილი.

— ე! ადეკი ახლა, — მახოიას ქალიშვილი, ჩვიდმეტი წლის ოლიკო ცდილობდა, დაეძრა ადგილიდან გაღვიძილი მამა. „საიდან ამ პირუტყვს ასეთი შვილი?“ — გაიფიქრა ალექსიმ.

ოლიკო პირველად რამდენიმე დღის წინ დაინახა მეზობლის ეზოში და შედგა უეცარი გაშეშებით მისი სილამაზით დამტკბარი.

— ადე, ახლა, ჰა! დედა, რას გეცხარ, — ცდილობდა ოლიკო მომსპარი მამის აყენებას.

— მოიცა, დაგეხმარები, — მიუახლოვდა ალექსი და ძლიერი ატაცით წამოაგდო ფეხზე მახოია. აუ, რას ყარდა, — შენ გაინი, — უნებურად უთხრა ოლიკოს, არ უნდოდა, რომ ამ მშვენიერ არსებას ეს მართლაც წარმოუდგენელი სიმყარაღე შეხებოდა. ოლიკო მეორე მხრიდან შეუდგა მამას მხარში და წაარჩინეს მკლავებგამოლილი, უგონოდ გვერდზე თავგადაგდებულ და ნაბიჯარეული. კარგა შორს, „გაღმა“, მდინარის იქით იყო მათი სახლი.

— მოდი, შევივწვით, — დაღმართზე მაღალ ბალახებში ჩაასვენეს მახოია და ოფლი მოინმინდეს სულის მოსათქმელად

ღრმა ამოსუნთქვით.

— მამაკითხე... ბოდიშს გიხდით... რაფერ შეგანუხეთ, — ნალვლიანად ლელავდა ოლიკო, — დაგვტანჯა ამ სანყალმა, — ბოლო სიტყვებზე ბალახებში ჩაკარგულ მამას გახედა.

— რუსეთში ვიყავი, ჯარშიო, მატარებლები დამყავდაო, მიყვებოდა აბაუბდად. მართალია რამე? — დაეკითხა ალექსი.

— კი, საცხა გადაკარგულში მსახურობდა რუსეთში, მერე ჩარჩა იქ და არც იცოდნენ მისიანებმა, ცოცხალი იყო თუ არა. მე არ ვიყავი ჯერ გაჩენილი. დაბრუნდა რამდენიმე წლის მერე... მარა, ბოდავს, არ დოუჯეროთ, თუ რამეს ბრეხავს ცუდს... არ არის ცუდი კაცი, — უცნაური დარდით თქვა ოლიკომ და მწვანე მაისურზე ოფლისგან დამჩნეულ ლაქებზე აიფარა წვერილი იდაყვები.

— შენ რას საქმიანობ? — თვალს არ აშორებდა ალექსი. ოლიკოს თავლისფერი თმა აწენვოდა, მზის ჭყიტინის გამო ლურჯ



რეზო თაბუკაშვილი

უცხო სოფელი

თვალს ჭუჭავადა და მორიდებული ღიმილით პასუხობდა.

— ვსწავლობ სკოლაში, ვამთავრებ წელს და ბიბლიოთეკაშიც ვმუშაობ, ნათელა დეიდას ვეხმარები, — ჩამოყრილი თმა გაისწორა ოლიკომ და მახოიას წამოსაყენებლად დაიხარა.

„სასწაული გოგოა,“ — გაიფიქრა ალექსიმ, — „არა, რა ცუდად ვუყურებ! გადი აქედან!“ — სასვე მკერდი დაუნახა ჩალელი მისისუად.

— ანდა, მეცნობა დე თქვენ, — შედგა უცხად ოლიკო, — დაუძახებ დედაჩემს... ვინმეს. ცოდო ხართ თქვენ, — აფოფინდა შენუხებულნი.

— წამო, წამო, მე მიგაყვანინებ, — ნაჩქარევად ეცა აქოთებულ მახოიას და გაეცინა საკუთარ თავზე, — ხშირად გინევს მისი ასე თრევა? — ბორძიკ-ბორძიკ ჰკითხა სიარულისას.

— კი, — ქოშინით უპასუხა ოლიკომ.

— ნახე, როგორი საკაიფო საერთო ტვირთი აგვიკიდა ღმერთმა მე და შენ, ა, ოლიკო, — სუნთქვარეულმა მხიარულად გასძახა ალექსიმ.

— ჰო, — დაბნეულად, მაგრამ სიცილითვე უპასუხა ოლიკომ.

გზად არავინ შემოხვდათ მათ გასაკვირად. მზე მაგრად აცხუნებდა და ორილობების გვერდის ავლით, ვინრო ბლიკებით და შუკვებით, ჩრდილიანი და მოკლე გზებით მიათრევდნენ მახოიას. მდინარესთან შედგნენ. სული მოითქვეს. უხმოდ გაუცინეს ერთმანეთს. ოლიკო კვლავ იფარებდა თავის თხელ ხელებს დაოფლილ მაისურზე ჯვარედინად.

— მაკაუდე, — უთხრა დასვენებულმა, მოლონიერებულმა ალექსიმ და დაავლო ხელი მახოიას. დიდ ლოდებს შორის გააფორთხილა ვინროში. პატარაზე დაგუბებულ ადგილამდე მიიტანა და ჩადო წყალში თავიან-ფეხებიანა. ჩადო და დაანვა მკერდზე ჯანინანად, მყარად. აფართხალდა მახოია, აიქნია ხელები და ფეხები, თავის დაღწევას ლამობდა ჩასასუნთქად. არ უშვებდა ხელს ალექსი. უცნაური ღიმილი დაჰკრავდა სახეზე.

— ეყოფა! — გაიგონა ოლიკოს შეკვივლება.

კიდევ რამდენიმე წამით ჰყავდა მი-

ჭედებული ქვიშანარევე ფსკერზე და მერე აუშვა ხელი. მახოიამ სუნთქვა აღიდგინა. წამოჯდა. წელს უფარავდა დინჯად მიდინებული მდინარე.

— მკლავდი, შე კაი კაცო, — მშვიდად თქვა მახოიამ. არ გაუხედია მათკენ. წყალს მისჩერებოდა. გასაოცრად სწრაფად გამოფხიზლდა.

— ვერ გაფხიზლებდი და, — თავზე ადგა ალექსი. ოლიკო მოშორებით იდგა და ოდნავ დაძაბული ჩანდა, — რა გინდა? მოყოჩაღებული ჩანხარ.

— მოყოჩაღებული კი არა... ქე გამახედე იქითა ნაპირას, — ტორტმანის გარეშე წამოდგა ფეხზე მახოია. ალექსის ჩაუარა, ბეჭზე მიარტყა ხელი მაღლობის ნიშნად და ოლიკოს ანიშნა, გამოემყვიო. ოლიკო მამასთან მივიდა, გზად ალექსის გამოხედა და უთქმელად, ორივე თვალის კეთილად დახუჭვით და თავის დაქნევით დაემშვიდობა. ცოტა ხანი გაჰყურებდა ალექსი მდინარეგადასულ, აღმართზე შემდგარ მამა-შვილს. მახოიას ხელი გადაეხვია

ბი, გახელდნენ ყვირილით. მამა-პაპათა ნატანჯი ძვლების შესხენებით შურისძიებისკენ მოუხმობდნენ, ქვას, დანას ხელში ტენიდნენ დაბნეულად მყოფ ადამიანთა ფარას. სისხლს ითხოვდნენ.

— რა ბევრი ლაპარაკი ამას უნდა! — „იყოჩაღ“ ბოლოს შუათანა ძმამ, გვიამ. ეზოს ზღურბლი სირბილით გადაკვეთა და ფართოპირიანი, დაქანგული ხანჯალი ტარამდე ჩასცა გულში შალვას. ბებიისგან იცის ეს ამბავი ალექსიმ. ძმებმა გ...ქეებმა მალევე მოირგეს კომისრის ტყავის ქურთუკები. უკვე სტატუსგამყარებულები ანიოკებდნენ, თავზარს სცემდნენ კახეთის ამ კუთხეს. მონდომებით ამყარებდნენ ახალ, წითელ ძალაუფლებას. ახლა ჩვენი დროა! ხერტდნენ უსასამართლოდ და ართმევდნენ დოვლათს. ბოლოს ეკლესია დაანგრეს ზარ-ზეიმით. ხალხი მოყარეს საყურებლად. ზოგი მათგანი საქმეშიც ჩართეს „მოსანათლად...“ ექსივივ ძმა ერთი წლის განმავლობაში დაღუპულა სხვადასხვა ვითარებაში. მყარალი სისხლიო — იხსენებდა ბებია.

მხოლოდ ერთხელ მოხვდა ალექსი თავისი სოფლის შორიხლოს. ცოლიც ჰყავდა უკვე და ტყუბი გოგოებიც. მაგრამ არ მოინდომა მამა-პაპათა წასახლარის მონახულება. მისი „ცვრიანი ბალახი“ გათიბული იყო იქ. ბევრი „სამშობლო გაუთიბა“ ცხოვრებამ ალექსის: საგურამოს აგარაკი, სადაც ბავშვობის ზაფხულებს ატარებდა, რამდენიმე წლის წინ გაყიდა და ტყუპების ანგარიშზე დადო ალექსი თანხა. მისი გვარის ოთხი თაობის ცხოვრების თანაზიარი მთაწმინდის სახლიც გაყიდა. ორ ბინად „დაახურდავა“. ერთი ყოფილ ცოლს და შვილებს გადასცა, ერთიც თავისთვის დაიგდო ბუნაგად შორეული პლატოს მაღლივ კორპუსში.

მოკლე კობით ავიდა დიდ აივანზე. ტახტი და ზამბარებიანი რკინის რიკულებიანი სანალი იდგა კუთხეებში. აივნის ბოძებზე ადესა იყო გაშვებული. ხშირი ჩრდილით ფოთლავდა დაღარულ იატაკს და კიდევ-ბატკეჩილ ხის მაგიდას. სანოლზე დაეგდო მონყვევით, ზამბარებისგან შეხტუნებით. დაისვენებს ცოტას, შუადღის ხვათქს გადაიძინებს. საღამოს სუფრისთვის ჯანს მოიკრებს.

ქეთიზე ფიქრს თავს არიდებდა, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა, შექმნილი პრობლემისთვის ნაკლები დრო დაეთმო. პარი არ ჰქონდა, წამდაუნუმ, თავიდან და თავიდან თავიანთი ურთიერთობა გაერჩია და გაეშიფრა ახლიდან ძველი, ვინ უფრო მართალია და სად არის იმ დაბრევილი ძაღლის თავი დამარხული, ასე რომ აურია ურთიერთობა... მთავარია, დალაგდეს თვითონ, სიმყარე იგრძნოს ლაღად არსებობის. მერე ყველაფერს მოეკლება. ქეთიც ბრძენი გოგო ჰყავს, ალბათ ისიც შეეცდება... მორჩა, აღარ უნდა ამაზე ფიქრი.

სიო აშრილებდა ვაზის ფოთლებს. მზე ძვრებოდა ყოველ მათ გატოკებაზე და ყვითელ ლაქებად ედებოდა სხეულზე. სახე აარიდა სიცხეს. გვერდულად წამოწვა. აივნიდან შესასვლელ ოთახს ხედავდა. კარგად შემონახული, მინაგაუმტყდარი განჯინა და მის გვერდით, ფანჯარასთან მდგარი, დიდი, რკინის სალტეგადარტყმული სკივრი მოჩანდა კარს მიღმა. ოთახის შუაგულში ცარიელი იყო. დროისგან ოდნავ გახნივლ კედლის თაროებზე შემოდებულ ნივნებს შორის რამდენიმე დოქი, ულამაზოდ დარჩენილი ფაიფურის ფინჯანი, საზღვაო ღურბინდი და პატარა ზომის გლობუსი ელაგა სქლად დამტკევირილები.

ტელეფონის მაღვიძარა ექვს საათზე დააყენა. იქამდე გამოიძინებს და წვერის გაპარვის დროც დარჩება. დიტოსთან იყო გადაპატიჟებული სუფრაზე. აფხაზეთის ომიდან იცნობდა. რამდენიმე ოპერაციაში ერთად მოუწიათ მონაწილეობა. მას შემდეგ აღარც ენახა. დღეს დილით, წყაროსკენ მიმავალი, გადააწყდა. გზის გაყოლებაზე ყანის განაპირას ორმეტრიანი, უღალთმაგაცენილი კაცი მუშაობდა. გრძელი და ძლიერი მოქნევით ხმარობდა მინაში ღრმად ჩაფლულ თოხს. სოფლის წესით ზრდილობის გამო მიესალმნენ ერთმანეთს თავიდან, მერე კი ახალამოსული მზის სხივების ხელის მტევნით მოჩრდილვით დააკვირდა ტარზე ჩამოყრდნობილი დიტო უცხო კაცს და იცნო დიდი ხნის უნახავი ალექსი. მოკითხვის და საღმის შემდეგ წინა დღით გამოხდილ არაყზე,

„ზავოტობის“ გაგრძელებაზე დაპატიჟა შეიდი საათისთვის. ალექსის სახლიდან „გალმა“, ლელის იქით ცხოვრობდა დიტო. მდინარეზე გადებულ უმოაჯირო ბეტონის ხიდს რომ გადავივლიდა ალექსი და კოპიტნარით დაბურულ აღმართს რომ აამთავრებდა, მერე ხელმარცხნივ უნდა გაეხვია, სასაფლაოს მხარეს... თუმცა, ამდენი ახსნა რად სჭირდება, ეკითხა გზად შემოყრილი ვინმე სულიერისთვის და ყოველი მათგანი მიახსნავლიდა კი არა, თავად მიაცილებდა დიტოს სახლამდე. ასე შეთანხმდნენ.

თავისთავი გაელვია. არ აჭიკჭიკებულა მობილური ჩიტების ხმაურითა და ზარით, როგორც დაუყენეს წამოსვლისას ტყუპებმა, ლანამ და ტატამ. გოგობმა კომპაქტურად ჩაულაგეს ბარგი. მათი ხელი სჭირდებოდა ამ საქმეს, რადგან ალექსი ძალიან გამოყენებით ტენიდა ტანსაცმელს ძველ სხვადასხვა ადგილში ნათრევ ალპინისტურ ზურგჩანთაში. ცოტა ხანი გვერდიდან აკვირდებოდნენ, გულიანად იკისკისეს მამიკოს მოუხერხებელ მცდელობებზე და მერე დაცინვით აუხსნეს ამ არცთუ რთული პროცედურის „სიბრძნეები“. „არა შეჯდა მწყერი ხესაო“ — უპასუხა ალექსიმ. არასდროს ეხერხებოდა, მეტიც, გინებამდე ეზარებოდა ყოველ ჯერზე ეს საქმე.

გაზმორებით ჩაუარა აივნის მოაჯირზე შემოდებულ ელექტროჩაიდანს და ხელი ჩამოარტყა ნითელ ღილაკს წყლის ასადღებლად. ოთახში მზე არ აღწევდა. იქ უფრო გრილოდა. განაჯინის ქვედა კარი გამოაღო. ფაიფურის დაბზარულ თევზზე ვერცხლის სამკვილა ჩანგალი და „Gillette“-ის საპარსი დანა იდო. ასაქაფებლის შავი ბოთლი უფრო ღრმად იდგა წარწერით „Aggressia...“ „აგრესია აგრესიის ნილ“ — ჩაილაპარაკა ალექსიმ... „კიდევ ერთი ბიჭის ნათელი სული ჩაუქრა უბანს... გავესაუბროთ თვითმხილველს: მე რა უნდა გითხრათ... სროლის ხმა გავიგონე. ხუთი დავთვალე... ავტომატი არ იყო... ორი ნიღბიანი ბიჭი გარბოდა ქუჩის ბოლოს. ერთი მაღალი იყო, მეორე უფრო დაბალი... ეგრე დავინახე... მერე პადიუბთან მივედი და ვნახე საწყალი, მკვდარი იყო უკვე... ეგრევე... კარგი, ზრდილობიანი ბიჭი იყო... ბავშვი იყო ჯერ... რა ხდება, რა დროში ვცხოვრობთ?... ომი არ გვეყოფნის თითქოს, ერთმანეთს რომ არ ხოცავდნენ...“

ალექსი აივანს მობჯენილ სამზარეულოში ჩავიდა. პირსაბანში წყალი გააზავა. ბოძზე მიმაგრებული ოვალური სარკე უფრო ზევით აჰკიდა, თავის სიმაღლემდე. მაღალი იყო ალექსი. ასაქაფებლის ბოთლი აანჯღღრია და კიდევ ერთხელ მოხვდა თვალში „Aggressia...“ არჩევისას არ დაუხვია, თორემ არ იყიდდა, სხვას შეიძენდა. ეს ძალა ნაღდად არ საჭიროებდა დამატებით დახმარებას, რათა პარსვისას, სამართებლის პირზე ფაფუკ შხამად ნათხუპნული, გაჭრილ კანში შეპარულიყო გახსნილი ფორებიდან. „შენი დედა მოვტყან!“ — სისხლი წამოუვიდა კისერთან დანის დასმისას.

ჩრდილ-ჩრდილ იარა დიტოს სახლამდე. ხიდზე შედგა. ლიანდაგების რელსებით გამყარებული, არმეტურების ნაგლეჯებით დაზღარბული უმოაჯირო ხიდი ცუდად ეხამებოდა ზღაპრულ ბუნებას. ბეტონის მუხლუხოდ გადებულიყო ციციქნა წვეთ-წვეთად მოჩხრიალე ღელეზე. აქაურებისგან სმენია, და კალაპოტსაც შეატყო, რომ ეს უწყინრად მიდინებული წყალი ლოდების მობურთავე და მსხვილი, ჯანიანი ხეების ფესვებიდან ამომგლეჯ მდინარედ იქცევა ხოლმე, როცა მისი დრო დგება.

ადვილად მიაგნო დიტოს სახლს. არავის გამოკითხვა არ დასჭირვებია. არც შეხვედრია „სულიერი ვინმე“. სასაფლაოს გვერდის ავლით, მოედნის იქით, მარცხნივ გაუხვია ხეებით დატოტვილი გზაზე. ორი-სამი მოსახვევის შემდეგ პირდაპირ მიადგა ტყეში ჩაფლულ დიტოს კარ-მიდამოს. ხეხილიანი მოზრდილი ბაღი იშლებოდა ჭიშკრის მიღმა, სადაც ბავშვები დარბოდნენ და ქალები ფუსფუსებდნენ თევზებით ხელში. დიდ მუხასთან აწყობდნენ მაგიდას. რაღაც ძველი, დიდი ხნის მივინყებული თუ საერთოდ დაკარგული და მაგრად მონატრებული დაინახა ამ სურათში ალექსიმ და ომახიანად დაიძახა: „მასპინძელო!“ მამაკაცები ორსართულიანი აგურის სახლის აივნის ქვეშ იხსდნენ, ზოგი

ბაღში დასეირნობდა ქეიფის მოლოდინში. ათკაცინი სუფრა იშლებოდა მუხასთან, ასე დათვალა თვალის ერთი შეველებით ალექსიმ.

დიტო გამოეგება შესახვედრად. ქალებს შორის ოლიკოსაც მოჰკრა თვალი. მახოიაც აქ იყო, გაპარული, მონდომებით გაუთოებულ საყვლოებზე ნეიტრალურ პერანგში გამოწყობილი. დარბაისლური და ოდნავ ოფიციალური საღმთი შეხვდა ალექსის.

სტუმრების უმეტესობას იცნობდა ალექსი. ახალგაზრდა მამა თეოფანესთანაც მოესალა, სახევედრა და გაბაასება, ცალთვალა, სახელოქცეულ ჩიტოსთანაც მოხვდა ერთხელ წყაროზე გზად მიმავალი და მისი ფუტკრის სკეპიც დაათვალიერა. თბილისიდან დასაბრედად სოფელს მობრუნებულ, ციროზიან ანდროსთან, შეიძლება ითქვას, ამხანაგობა ჰქონდა უკვე. მის მდინარისპირა სამხერხაოში ჭიქაც ასწიეს ორჯერ და სიტყვაც ითქვეს, ერთმანეთის გამგები.



უცხო ხალხს თავის დაკვრით, ხელის ჩამორთმევით მიესალმა ალექსი და დიტოს გაჰყვა ატმის ხის ძირას, მაღალზურგიან სკამზე ჩამოჯდარი მისი მამის გასაცნობად. ბრგე, ალბათ, ოთხმოც წელს გადაცილებული, ასაკისგან დაბრმავებული ბატონი პავლე ხელჯოხს ეყრდნობოდა მსხვილი ტორებით, წელში გამართული. გარშემო მოთამაშე ბავშვებს მხიარული შეძახილებით ეხმარებოდა და ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— მოი, ჩემთან, ბოშო, შენ ხარ ჩემი ატამი, — თავისკენ იზიდავდა შეიდი-რვა წლის შავთვალა გოგოს, დიტოს შეილს, რომელიც ხიდან მონწყვეტილ ატამს ათამაშებდა ხელში.

სწორედ რომ, წარსდგნენ მის წინაშე დიტო და ალექსი. იყო მოხუცში ძალა, რომელმაც ეს სიტყვა გაახსენა ალექსის. ბეჭზე თბილად ხელის მიბაგუნებით მიიხუტა პავლემ და განწყობებული ლურჯი თვალეები ააცეცა, თითქოს რაღაცას ეძებდა უსინათლო მზერით, ალექსის უკეთ საგრძნობად და დასანახად.

— დიტოსგან მსმენია შენი კაიკაცობა და ვაჟკაცობა... რამდენ ხანს აპირობ დარჩენას? — ამოხედა ჯოხზე დაყრდნობით. — არ ვიცი ზუსტად. ვნახოთ, როგორ გამოვა.

— იყავი, კარგია აქ. გამოადგები სოფელს, — გაელიმა და მხარზე მიარტყა ხელი ალექსის.

დიტო სახლის უკან დანთებულ მაყალს მიუბრუნდა. ბავშვების გუნდი მიჰყვა კუდში, უმეტესობა ბიჭები იყვნენ და მწვადის შეწვამი ცდილობდნენ აქტიურად დახმარებას. მარტოდ მდგარ ანდროსთან მივიდა ალექსი. კიდევ უფრო ღრმად ჩაიჩოჩნეს ჩრდილის სიღრმეში და სიგარეტი გააბოლეს.

სავარაუდოდ, ნახევარი წლის სასიცოცხლო ვადა გამოუყვან ექიმებმა ანდროს. მორჩა, დამთავრდა დედამინაზე შენი ხეტილიო, გამოუცხადეს. პირველსავე შეხვედრაზე, რამდენიმე ჭიქის გადაკვრის შემდეგ, სხვათა შორის მოუყვა თავისი ამბავი სამხერხაოში შეპატიჟებულ ალექსის.

— აი, ზომებიც ავიღე და გავიმზადე საჩემოდ, — დაანახა კუთხეში აყუდებუ-

ლი ხის სადა კუბო, — მინდა, არ მინდა, სიკვდილის თვალთ ვუყურებ ყველაფერს... ცუდი არ არის... არ გეგონოს, ვწუნუნებდე, უბრალოდ, ყოფილა დრო, მეტად მდომებია და მომიხმია კიდევ, ახლა კი სალამს ვარიდებ“, — გაცინებით თქვა ანდრომ მამინ.

ალექსიმაც, მისდაუნებურად, სხვა თვალთ დაუნყო ხედვა მის ნათქვამ სიტყვას.

— ნახე, რა კარგია, — სიგარეტის ნევისას ანდრომ ხეებს შორის გაჭიმულ თოკზე ჩამოკიდებული ღვინისფერი ნაჭერი დაანახა ანდრომ, რომელიც ნიავის ყოველ შემობერვაზე ზანტად ირხეოდა. ალექსიმ გახედა და დაინახა — სიცოცხლე გახვეულიყო მყუდროდ ამ მოსასხამში და ტოკავდა და ტოკავდა.

მხიარული ქეიფი გამოვიდა. დიტო დადგა თამადად. მოკლე, ხალას სადღეგრძელოებს ამბობდა და მწვადთან ტრიალსაც ასწრებდა ბავშვებთან თამაშთამაშით. კარგია, რომ ომზე არ ულაპარ-



აკია ბევრი. მხოლოდ დალუპული ბიჭების ხსოვნისას და ალექსის დღეგრძელობისას ახსენა ომი. ეტყობა, ალექსის მსგავსად, მასაც უჭირდა იმ დროში მიბრუნება. ისედაც, ძილში თუ ცხადში, მღვრიე ტალღად მოვარდნილი ადვილად ანგრევდა თავდასაცავად აღმართულ ჯებირებს ომის სუნი და ხმა, ნაგებული ომის.

ოლიკო დაუზარლად, მხიარულად დასტრიალებდა სუფრას. თევზებს უცვლიდა სტუმრებს, კერძები გამოჰქონდა ნაირ-ნაირი და ალექსიზე ეჭირა თვალი. „ეს ლანირაკი ნახე“ — ჩაეცინა ალექსის, როცა მის ბეჭზე მკერდმიჯნებით ჩამოალაგა ხაჭაპურები მაგიდაზე გადანოლილმა ოლიკომ.

მახოია ჩუმად იჯდა და ღვინოს „იპარავდა“ სმისას, ჭიქას სახანხევროდ ცლიდა.

მეფუტკრე ჩიტოს მალევე მოეკიდა სასმელი. ამბავს იხსენებდა ხმამაღალი სიცილით ვინმე ძალიან ბოზოლა მაღალჩინიან პოლიციელ მაღლაძეზე, მეზობელ სოფლად რომ არიან უხვ კომლად დასახლებულები, მათ წარჩინებულ წარმომადგენელზე, გრიშაზე, რომელიც ქე რომ დიდი პატივით მიიღეს ორი დღით სტუმრად ჩამოსული და დათვის მოსაკლავად რომ წეიყვანეს მთაში, აქვე ახლოში, ჩიტოს საფუტკრე ადგილებში, ტყეში.

ჩამოუარეს კარგი საღმთი დილაუთენია მაღლაძეებმა ჩიტოს საცხოვრებელს. ნამთვრალეზე თავგადრიგინებული გრიშა მოჰყავდა ესკორტით აქეთ-იქიდან შემომდგარ თოფომარჯვებულ სანათესაოს. ძველი „ბერდენკა“ საპატიო სტუმრისთვისაც გადაეკიდათ, ეტყობა, მძიმე, რადგან დაღლილად ადგამდა უხალისო ნაბიჯებს აღმართში აგი პოლიციის რაცხა მთლა უფროსი, პუტკუნა ხელისგულით იწმენდა მსუქანი სახიდან ღვარად წამოსულ ოფლს და ვერ მოერგო სათავისოდ მხარზე გადაკიდებული, მაღლაძეების საგვარეულო, ბევრი ცხოველის დამხოცი თოფი.

ვინცხა მთლა მოუხვეწარი ნათესავი დაჟანგულ ხანჯალსაც ტენიდა მას: „ავი დეიკიდეთ, დიდი სპირიდონის ნაქონია. ა, დათვის სისხლი ამჩნევია კიდევ ახლაც, სპირიდონის მიერ ხელდახელ მოკლულის“,

— აჩეჩებდა მონდომებით. ავად გახვდა გრიშამ მოკეთეს, ხანჯალს დააკვირდა წამიერი ჩაფიქრებით და უმალ გამოყენების დიდი ცდუნებით. ზურგის ტვინით, გუმანით მიუხვდა მინაური ბნელ აზრებს და შეეშვა, სხარტად გაუხვტა განზე.

ჩიტო თავის საქმეს აკეთებდა, ფუტკრებს უვლიდა, თან ცალი ყური ტყისკენ ჰქონდა მიპყრობილი გასროლის, ერთის მაინც, გასაგონად.

დათვი იცის მანდეთ. თავად გადაანყნა წინა დღეებში. გადაეყარნენ ერთმანეთს ბილიკზე. აათვალეირა დათვმა სოკოზე გამოსული უიარაღო ხელში დანწული კალათით გაშეშებული ჩიტო და არ ეგემრილა ეტყობა ძვლი და ტყავი დარჩენილი, გამხდარი კაცი, ან იერზე არ მოეწონა ნამეტანი; რას გავს, აი, საწყალიო, შეცოდებითაც შეუხედავს თავის მობრუნებით ჯაგებში შემალვისას სახემოქცეული ჩიტოსთვის. ეტყობა, ის სხვა დათვი იყო, ბელების გარეშე, თორემ წუნიაობას არ დეინყებდა.

მზის გადასვლის მერე, დაღამებულზე გავარდა, მარა რა გავარდა. ატყდა ყვირილი და ვაი-უშველებელი, მარა რა ატყდა. ორმა უთოფო ბიჭმა ჩამოიქროლა ჩიტოს სახლთან ლინინ-ლინინით. სულ ცოტა ხანში უკან ამოქროლდნენ, „ლეჟანკას“ მხარბენინებდნენ ზევითკენ.

არ გასულა ბევრი დრო, როცა შორი „ტიტუ“ და სხვა, ცუდის მომასწავებელი, შეძახილები მოესმა ჩიტოს. სკადაკარგული ფუტკრებით დაბზუოდნენ აღმადამა სოფლები. ჩიტოს პასუხს არ სცემდნენ, თუ რა უბედურობა დატრიალდა ამისთანა, რაცხა კარგი რომ ვერ მოხდა, ამას თავადაც ხვდებოდა.

— აუჰ! რაია აი?! — შეიცხადა ჩიტომ, ჩინელი მბრძანებელივით „ლეჟანკაზე“ წამომჯდარი გრიშა რომ იხილა. მინით მოთხვრილი იყო თავიან-ფხეხიანა და საჩვენებელი თითი ჰქონდა ზევით აწეული, თითქოს სადღეგრძელოს თქმისას სიჩუმეს ითხოვდა.

რაფერი შესახვია?! კაცი თავის ზურგს გადმოჰყურებდა პირ-სახე მობრუნებული და ხერხემლის მალეების დათვლაც შეეძლო სარკის გარეშე. ღიმილი შერჩენოდა სახეზე დამაბნეველი. აცეცებდა თვალებს ფახუნით, ჩიტოსაც გამოხედა ბავშვური გაკვირვებით, მაგრამ აზრს და კითხვას ვერ ჩასწვდა ჩიტო... ანდა, რას მიუხვდები კაცს, რომელსაც დათვმა გრძელი „სვინგი“ დააჭედა ხეზე ამძვარილი ბელების დაცვისას და მერე საგულდაგულოდ გაუთხარა საფლავი ბრჭყალებით და დამარხა წესის აგების გარეშე?.. ეს თითიც ჰაერში, ეტყობა — „სდექ!“ — იყო ნამიერად ინსტინქტით წამოსროლილი...

გვიან ღამემდე იქეიფეს. სუფრის შუა ნელში ქალბებიც შემოუხდნენ მათგან.

დიტოს ულამაზესმა ორმა დამ მსხვილ ნანსავად მხარზე გადმოგდებული ჟღალი თმა შეისწორა, გიტარას ჩამოჰკრა და იმღერა გადასარევედ. ოლიკომაც შეასრულა რუსული რომანსი „იმერეტინსკულად“. მახოია აძლევდა მეორე ხმას მოხდენილად, მამა თეოფანეც აწევდა ბანს მოგუდულად. სულის ფაქიზ სიმებზე შეხებით გრძელი ცრემლი გადმოადინეს ალექსის. არ მორიდებია და არ მოუთოკავს თავი. იგრძნო, რომ კარგი ძალა მოსულიყო სტუმრად და ნებაზე მიუშვა დიდი ხნის ნაგროვები დარდი, სევდა და ბედნიერება ერთ ცრემლში შეგუნდებული.

სუფრის ბოლოსკენ ბატონი პავლე თავის გარდაცვლილ მეუღლეს იხსენებდა, მათ შეხვედრას: „მომწონა აღარ ერქვა, ისე ალფორთოვანი პირველივე დანახვაზე. ჩემი ბედი ხარ, და ვერსადეც წამიხვალ, რა ხანია გეძებ-თქვა, გავიფიქრე უმალ... სუფრაზე შეხვდით, ქორნილი... მაგრამ, მის გაღიმებას ველოდი, მივჩერებოდი თვალმოუშორებლად... კარგი თვალი და ხედვა მქონდა მაშინ, — აღნიშნა ჩაცინებით, — გამიღიმა, და მოვკვიდი და დავტკბი კაცი, ე მანდ, თვალის გაყოლებაზე კეთილი ნათქვამი რომ დავუხანხე კუთხეებში სიხარულისა და ფაქიზი სულისა... ჩემს გოგოს გაუმარჯოს. მალე განახვ, ირინე, — თქვა და სხვებს არ დალოდებია, ისე გადაჰკრა, — ალექსი, ღიმილით ვცნობ ადამიანს.



ყველა შაირს, ყველა სონეტს, ყველა ლექსს და ყველა ტერცინს ჩემთვის, და ალბათ თქვენთვისაც, ცრემლიანი ცვლის ანდერძი...

თვითმფრინავით კი არა, ვერტმფრინავით კი არა — მსურს, ზესწრაფი რაკეტით გავცდე ამ დედამიწას! — მსურს გავიგო, სამყაროს დავინტერესებ კი? შემომხედავს? ვინა ვარ! დაფიქრდება? დამიცავს? ვიცით კი ჩვენ? რა თვალთ ჩამოჰყურებს **ცა მიწას!** — სამყარო **დედამიწელს** დამინახავს? დამიცავს?

ერთხელ მაინც, თუნდ ერთხელ გავცდე ამ დედამიწას...

— ჩემი განძი — ჩემი ვერცხლი, ჩემი ოქრო, ჩემი ბროლი რომ გაქრა და დაიკარგა, არის თურმე ჩემი ბრალი... ჩემი მამა, ჩემი დედა, ჩემი დები, ჩემი ძმები სად არიან — რად ვერ ვხედავ, რად არ მესმის მათი ხმები... სულ არ მიკვირს, მსხვერპლი რო ვარ ყველანაირ სიღარიბის...
...მამშვიდებს და გულს მიკეთებს შეგონება სახარების...

85

ოთხმოცდახუთის ხდები! რას გიგავს, ძმაო, ყდები! გიყვარს. არ გიყვარს. გიყვარს... კვდები, არ კვდები. კვდები... მოგწონს. არ მოგწონს. მოგწონს. ხვდები. ვერ ხვდები. ხვდები. უფრო — დედა და მამა. უფრო — ძვირფასი დები. ოთხმოცდახუთის ხდები. გაცრეცილი გაქვს ყდები! იღლება? ნეტა ხალხი ცივ სამარეში გდებთ...

დაუსწრებლადაც, თვითონ — რალაცას მაინც ხვდები...

ცუდი იქნება? — უნდა სიკვდილშიც შეიძლებოდეს გამოძინება! — ძველი მოდელი, რა ვქნა, არ მომწონს, მაგრამ ჩანს, ღმერთმა ასე იწება! შევსთხოვოთ უფალს — უნდა სიკვდილშიც შეიძლებოდეს გამოძინება!

...გახსოვს ალბათ, შენს ლოგინს ვინ დაარქვა შეზლონგი! უჩემოს და უშენოს — სულ ვიხსენებ შენს ლოგინს... ღვინოს ძალად გასმევი — ვუღიმოდი შენს სლოკინს... ...შენ თითქმის დაგივიწყე — ვერ ვივიწყებ შენს ლოგინს...

ცა-რიელი ლექსპროზა

ცა არის მალლა
ცა არის დაბლა
ცა არის გვერდზე
ცა არის ყველგან
ცა არის მუდამ
ცა ზღაპრებს ყვება
ცა არის დარდი
ცა არის შვება
ცა ადრე წვება
ცა გვიან დგება
ცა გვიან წვება
ცა ადრე დგება
ცას ვერვინ დაყოფს
დღეებად წლებად
ცას პლანეტები
ცრემლებად წყდება
ცა არის ლოცვა
ცა არის ყეფა
ცა არის ერთი
ცა არის ღმერთი
არ ვიცი მასზე

რა არის მეტი შუბლი და ტვინი ზურგი და კეფა ცა არის ტაბლა ცა არის კვება ცა არის ლანძღვა ცა არის ქება ვიქნებით ისე ცას როგორც ნებას თუ არ სურს კრძალავს სურს — გვადლებს ნებას ცა არის ჟინი ცა არის ვნება ცა არის ერთად სუყველა მცნება ცამ ეს სამყარო ათასფრად ღება ცა არის ლოცვა ცა არის ყეფა სურს იყოს ღმერთი? — აქვს ამის ნება...

!
— თქვი რამე საინტერესო, თქვი ჭკვიანური რამე! — კარგია თუმცა კარგი დღე — ჯობს კარგ დღეს კარგი ღამე! ვცდი, რამეფერად ეს აზრიც დავაკანონო ძალით: თუმცა კარგი კაციც კარგია — ჯობს კარგ კაცს კარგი ქალი!

ჩვენ გვგონია, გვკლავს ერთი, ერთადერთი სიკვდილი — ჩვენი სიკვდილი! სინამდვილეში ჩვენ გვკლავს უამრავი სიკვდილი, უთვალავი სიკვდილი: ჩვენი დედის სიკვდილი ჩვენი შვილის სიკვდილი ჩვენი ძმაცაცის სიკვდილი ჩვენი საყვარლის სიკვდილი ჩვენი კეთილი მეზობლის სიკვდილი ჩვენი ჯარისკაცების სიკვდილი, საყვარელი მწერლების მხატვრების არტისტების მუსიკოსების სიკვდილი სახელოვანი მეცნიერების სიკვდილი ... ძვირფასი ადამიანების სიკვდილის გარდა ჩვენ გვკლავს თანამედროვე მკვლევების სიცოცხლე: დღევანდელი ლენინის სიცოცხლე დღევანდელი ჰიტლერის სიცოცხლე დღევანდელი ჯალათების სიცოცხლე...
... რა კარგია ზოგიერთი სიკვდილი... რა ცუდია ზოგიერთი სიცოცხლე...

ლექსპროზა — გაუშური

— მიჰქრის, მიმავრენს უგ ზოუკვლოდ ტუ-ას-თორმეტი... მიჰქრის, მიგავრენს უგ ზოუკვლოდ მათი საბუნა... მიჰქრის, მიგავრენს უგ ზოუკვლოდ ეს დედამიწა... თავად არა ყავს პატრონი და ჩვენ რას დავიცავს... — დაიცა, ძმაო! უნუგეშოდ ნუ ხარ! დაიცა!

— არ ყავს პატრონი ჩვენს პლანეტას — ჩვენს დედამიწას! ჩვენ ვინ გვიშველის, გეკითხები, ჩვენ ვინ დავიცავს!...
... მიჰქრის, მიგავრენს უგ ზოუკვლოდ ჩვენი პლანეტა! — ჩვენ რომ არ ვიცით, იმგვარ გეგმით, იმგვარ „პლანითა“...

!
— ვაი, ვაი მაგათ შავ დღეს, ვაი, ვაი მაგათ პატრონს! გონიათ, რომ სულ უნდა კლან, უნდა ჩეხონ, უნდა ფატრონი! ვერ წარმოუდგენიათ, რომ გაიხარონ, გაიბადრონ! — სიძულვილში ლევენ დღეებს, ვაი, უი მაგათ პატრონს! არ იციან, რისთვის გაჩნდნენ, რა აკეთონ, რა ინატრონ... ყავთ პატრონი? — არ მგონია! თუ ყავთ, ვაი მაგათ პატრონს!

!
— კი, სიკვდილებსაც აქვს ალბათ ტესტი... ბასრი ან ბლაგვი — სიკვდილის ცელი... ...რა ვქნა, არ მიყვარს ტირილი ტექსტით, არ ვთქვა? მე მიყვარს ტირილი ცრემლით... უკვე მთავრდება ოთხმოცდაექვსი — უკანასკნელი, სულ ბოლო წელი... უნდა მიტიროთ? — არ მინდა ტექსტი! გლოვას აპირებთ? — მიტირეთ ცრემლით...

როგორ არ დავიბრიდეთ ამ სმითა და ამ თრობით! — გაუთავებელი სმა, უფრო მაინც ზამთრობით... ახლა ბევრიც ეცადო, ახლა მართლა გულით რო სცადო, შეძლებ? — „იპოვო“ ცუდად დაკარგული დრო... შე ცნობილო თამადავ, შე ქეიფის მაგისტრო, როგორც იქნა, მიხვდი, ხომ? — ბებერს სად გაქვს მაგის დრო... ან რა ეშველება ამდენ წამალს, ამდენ ძილს... ...სცადე, იქნებ ის მაინც... — უპოვარის ანდერძი...

„დინამოს“ პრაქტიკა

...ზოგჯერ, „მადრიდს“ რომ ვჯობივარ, ნეტა „მადრიდს“ რად არ მადრით! — ძველებურად რომ ვუბერავთ, ჩამოვრჩებით ნეტა მათ რით! ანდა „ბარსა“ დიდებულები! — მათი — მესი, ჩემი — მესხი... გაარჩიოთ უნდა, ხალხნო, ვისი — ვალი! ვისი — სესხი! ეს არ იცით? — ყველა ანწყო წარსულად რომ უნდა იქცეს... რა უნდა ვქნათ! — მესი — დარბის! მესხი კიდევ... მესხი იქ წევს...
... სიბერეზე უფლისაგან ჩვენ — თანხმობა, მათ კი — უარი! ...სწუხან ძველი „დინამო“ და მისი გულშემატკივარი...

თავდაბალი ლექსპროზა

— კი ბატონო — ჯერ იკითხეთ შოთა, ვაჟა, სერვანტისი, პო, აკაკი, პლათი, რემბო, ბეგბედერი, მერიმე, დოსტოვესკი, კავკა, კოკტო, უნამუნო, პოლ ვალერი, დანტე, შელი, ლერმონტოვი, პუშკინი და... მერე — მე...

ოთხშაბათის ჩანაწერი

სხედან და ჭამენ და ჭამენ! შეარგოთ უფალმა! ამინ!

სხედან და სვამენ და სვამენ! შეარგოთ გამჩენმა! ამინ!

ყლაპავენ ბრომს. კორდიამინს! უშველოთ უფალმა! ამინ!

აქებენ ნესტანს და ფატმანს! და ზოგჯერ — ვისოს და რამინს! ამინ!

ლოცვებად გადიქცნენ ლამის! კარგია! ილოცონ! ამინ!

პირადად არ ვიცი, ვინ ვარ! ვინ მინდა, რა მინდა, რა მინ... ამინ!

არა ვსვამ! ვსვამ მხოლოდ წამლებს წნევისას! ხანაც — ვიტამინს! თქვენ კარგად მეყოლეთ! ამინ!



გაგრძელება

გამიხარდა შენი გაცნობა, — გააგრძე-
ლა ლაპარაკი პავლე, დამსწრეთა მიერ
ქალბატონი ირინეს სადღეგრძელოს
ფეხზე ადგომით შესმის შემდეგ, — არ
მოგატყუოს ჩემმა სიბრძნემ, სიბრძნე რომ
შემომეპარა. საღმისას ვიგრძენი შენი მარ-
თალი, სანდო კაცის ღიმილი. მიხარია და
ყოველთვის დიდ სიამოვნებას მგვრის,
როცა ადამიანის უკან სუფთად განვლილ
გზას ვხედავ. კარგია, — ჩაფიქრებით და-
დუმდა მცირე ხნით, — ამ, კეთილად სახ-
სენებელი ცხოვრების გამაღან ძალად ვიყ-
ნებდი ამგვარი გაღვლებების აღმოჩენას,
მონადირებას, თვალს და გული მქონდა
განაფული. ეგეთი ვარ, მასეთ ენერგიაზე
მუშაობდა... ახლაც მუშაობს ჩემი მოტორი.
მაგრამ... ჰო, ეს მუდმივი მაგრამ... ხშირად
ნაგავს მისხამდენ ბაკში და რამდენჯერ-
მე კინაღამ დაასტუკა კიდევაც, რის გამოც
ვბრაზობდი რაღა, ცუდ სიტყვებსაც ვხმა-
რობდი და საჩხუბრად ვინევდი, ოღონდ,
ბოლმე არ გამყოლია არავისი, გულწრ-
ფელად შემოძლია თქმა, ღმერთია მონმე...
აღბათ, მეც რამდენჯერ ჩაუღუსი ვინმეს
სულ სხვა დიხელი, — გაეცინა ბოლოს.

უმთვარო ღამე გამოდგა. გაღმა მარ-
ტო ალექსი იყო გადასასვლელი. ბევრს ეხ-
ვეწნენ, გადაგაცილებთ, აგერ, დიტოს ბი-
ჭებს, ათი და თორმეტი წლის ბოკვერებს
გაგაყოლებთ, კუნაპეტი ღამეა, რამე არ
მოინიო. ოლიკოც იქვე იდგა, ბორგავდა
უსაქციელოდ. ალექსისაც ეჭირა მასზე
თვალი, გაურბოდა, და შეამჩნია, რომ
ოღნავ ღვინონაყლაბ ოლიკოს კინაღამ წა-
მოსცდა — მე გადავაცილებო. სურვილი
აშკარად შეატყო ალექსიმ.

— ნუ მაგრძობინებთ უცხოდ თავს.
აქაურობასთან შენობით ვარ, მგონი, უკვე
და, წესით, არ უნდა გამიჭირდეს სახლის
მიგნება, — გაჯიუტდა უტეხად ალექსი.
დაემშვიდობა ამ კარგ ხალხს. მადლობა
უთხრა ბატონ პავლეს, დიტოს და უნდო-
და აღენიშნა, რომ მისი მოტორიც მაგდაგ-
ვარ სანავაზე მუშაობს, როგორც ბატონ-
მა პავლემ ასხენა, მაგრამ თავი შეიკავა,
ვერ თუ არ თქვა.


— პირამდე სავსე ვარ დღეს თქვენი
ჯიშინი ოჯახის ხილვით და მიღებული
სიტობით, — უთხრა მან და გაიფიქრა
მთვრალი დარდით თუ ბრაზით: „მართლა
ძალიან ცოტანი ხართ“.

ოლიკოს ნამღერი აეკვიტა. ღიღინ-
ღიღინით, შიგადაშიგ ხმამალალი შემომღ-
ერებითაც, ჩაუარა არეული ნაბიჯით
გვერდი სტადიონს და მიყოლებით სასა-
ფლაოსაც. ხიდად მიმყვან დაბურულ
ორღობეს როცა დაუყვა, უცხად შუქი
ჩაქრა მთელს სოფელში. მომორებით მდ-
გარი სახლების განათება გზას უჩვენებდა
ალექსის. მთვარეს არც უფიქრია ამ ღამეს
გამოჩენა. „ვახ, შენი! აი, ნაღდი კუნაპეტი“
— ჩაილაპარაკა და ტელეფონის ნათურა
ჩართო, მაგრამ ხეირი არ მოყოლია მის
შუქს. ვინრო რადიუსით ანათებდა და
კიდევ უფრო მეტად უშლიდა ხელს გზის
გაკვალვაში. არა უშავს. ამ დაღმართის
მორკალური ტრაექტორია ახსოვს კარ-
გად. ხიდად უერთდება მოსახვევით და მერე
მდინარის ხმაურზე უნდა მიჰყვას ნაპირ-
ნაპირ სახლამდე. აჰა, გავაკდა უკვე, მო-
სახვევში შედის, ბეტონს გრძობს ფეხქვეშ,
რამდენიმე ნაბიჯიც პირდაპირ... და, შა-
რახ! პირდაპირ სიმავეში გაფრინდა ნაბიჯ-
გადადგული. სამი-ოთხი მეტრის სიმაღ-
ლის ხიდა. თხლამანით, მოუმზადებლად
დაასკდა ლაფიან მიწაზე. იწვა ცოტა ხანს
აზრზე მოსასვლელად, თუ სად არის და რა
ხდება მის თავს. ხიდიდან ისკუპა, ვერ
გათვალა მოსახვევის ტრაექტორია და —
მდინარეში ჩამბალი. ნამოდგა დასველე-
ბული. ხელები მოიფათურა სხეულზე,
თავზე, ფეხებზე, თითქოს არაფერი,
ტკივილს ვერ გრძობდა. ხიდას ასასვე-
ლელი ფერდობი არ იყო, კედლებმომბა-
ლი კლდე და ჯაგები ერტყა ორივე მხარეს,
ახსოვდა. ხიდი ბეტონის ძირზე შეყრდნო-
ბილ ლიანდაგების რამდენიმე რელსზე
იყო დაბჯენილი და გამაგრებული, ეგეც
ახსოვდა. ცეცებით მიაგნო ბრტყელ რკი-
ნას, მაგრამ ჩაეჭიდა, სხეულით მიეკრო და
აბობდა ზედ დათვიებურად. დადგა
ხიდე ნელში გამართული, და ჰოი, უცნ-
აურობავ: სად ცაა, სად მიწა, ვერ
გარკვეულიყო. პირველად დაემართა ასე-
თი რამ. დაწვა სიმყარისთვის, გონს მოსას-
ვლელად, რომ ეგრძნო მიზიდულობის
ძალა და აღმოეჩინა, თუ რომელ მხარეს
არის ცა. არ უშველა. ცუდი ადგილია,
„ბნელს“ რომ უძახიან. უპოლუსო სიმავე-
ში მოხვდა. შეშინება, გაკვირვებაც ვერ
მოსასწრო. ხარხარი აუტყდა. საიდან გაახ-

სენდა ოსტაპ ბენდერი, ოცდაერთი ტონის
ჰაერის სიმძიმეს რომ უჩიოდა, რომელიც
გამოზომილად განაწილებული იყო ყოვე-
ლადამიანზე და მხრებში ხრიდა, მინისკენ
არქობდა... „ჩამომიფრთხია სხეულ-
იდან!“ — სიცილით თქვა და ხელის ზურგე-
ბი გაჰკრა სველ ბეჭებს ნამოდგომისას.
ადგა. სავარაუდოდ, უკან დაბრუნდა და
თავიდან სცადა, ნაბიჯების გამოთვლით,
ხიდის „პავაროტში“ სწორად შესვლა.
ფრთხილად გადადგა გამოთვლილი ხუთი
ნაბიჯი და ისევ, შარახს!... გდია ლავში პრო-
ფილით ჩაფლული. ცა ისევ დაკარგულია
და ხელშესახები მიწაც. დიდმა სიმავემ ჩაყ-
ლაპა ალექსი. „ვახ, შენი, უცნაურია, ღმ-
ერთმანი!“ — დააკვირა ამ მართლაც
გასაკვირ მდგომარეობას, როდესაც
დაკარგული გაქვს აღმა-დაღმა „სოფე-
ლი“. ადგომა სცადა, მაგრამ, თითქოს მუშ-
ტიადის ბაღის მბრუნავ კასრში შეადგესო,
ვერ მოახერხა ფეხის გადადგმა, პირუკუ
მიექაჩებოდა რაღაც ძალა. მაგდენს ვერ
დალევდა, სასმელის ბრალი არ არის. აქ,
აღბათ, ალქაჯებსაც შეიძლება შეხედეს და
გაქაჩლებულ ჭინკებსაც... „დიტო!“ —
დაიძახა რამდენჯერმე, მაგრამ მოეჩვენა,
რომ მისი ხმა იქვე ქრებოდა, რამდენიმე
მეტრის რადიუსში იყლაპებოდა თუ ის-
რუტებოდა სიმავეში... გაფოფდა წყალზე,
იმედად დარჩენილ რელსამდე უნდოდა

რეზო თაბუკაშვილი

უცხო სოფელი



მიღწევა, მისთვის ხელის ჩავლება. ბევრი
იფოფა ლაფიანი და ქვიანი ღელის ძირზე.
წესით, დიდი ხნის წინ უნდა ჩახუტებოდა
ნანატრ რელსს. აშკარად სხვა მიმარ-
თულებით უბერავდა. ფეხზე ნამოდგო-
მის ყოველ მცდელობაზე ისევ „მუშტიადის
კასრში“ ხვდებოდა და ზურგით ეხეთქებო-
და წყალზე. დროც დაკარგული იყო ამ
დაწყვეტილ ადგილას. რადიონი ხანს ვახ-
ირობდა და ნვალებით ცდილობდა „სამშ-
ვიდობოს გასვლას“, მიახლოებითაც ვერ
შეეძლო წუთების თუ საათების გამოთვლა.
„დიტო!“ — დაიყვირა ერთი-ორჯერ უიმე-
დოდ, და მართლაც — „არსით ხმა, არსით
ძახილი“. ექოდ ჩაესმოდნა საკუთარი ხმა
დამცინავად. „მაგარ დედამოტყუნულ ადგ-
ილას ვარ“ — გაიფიქრა ფხიზელი, სალი
აზროვნებით.

— ჰა, დამენახე, რომელი ხარ და
როგორ ხარ? — წყნარად და ჩუმად თქვა,
მშრალ კუნძულზე გადმოფორთხებულმა,
— ...უ, რა ბნელი ხარ! — სახე ბალახში
ჩარგო და გაუხარდა, სურნელი მაინც რომ
არ დაკარგულიყო, იგრძნობდა და საა-
მოდ უღიღინებდა ბალახის მომბალი ღე-
როებიდან, — ...აი, ვიპოვე, გემოზე
მოგვალათი მშრალ და გაუვლელ მიწაზე.
რაღა დროს გაქცევას... ბევრი ვირბინე
შენი შიშით აღსავსემ, — ჩაინებით თქვა
გულაღმა გადმოფრთხებულმა. ბოდავდა
თავისთვის, — რა მომავალე ამდენი ერ-
თიანად... მახსოვს... მისი სახეც მახსოვს,
კიბებზე ჩამოსვლისას და თვალბეც,
დაბნულ-შეშინებული... პადიუზდთან და-
ვარდნილსაც გავხედე გაქცევისას... ძმაკა-
ცი მომიკლა მგ ბიჭმა, ჩვენში ყველაზე
უმცროსი... გადი!... მერე, ვინ გითხრა, რომ
ომში არ ითვლება?! კაი, ნა ხუი, დავი-
ლაღე, — თვალი არ დაუხუჭავს, მარცხე-
ნა ხელით ჩაბლუჯა სველი ბალახი, ცოცხ-
ალი.

— „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“,
ვერ გხედავ, — იყურებოდა სიბნელეში.
სახესთან მიიტანა ხელი, სილუეტიც ვერ
დალანდა თითების და ისევ ბალახს ჩაეჭი-
და. ყურების დამხეთქი სიჩუმე ფრინველის

ხმამ გაარღვია. ჩიტის მონოტონური შეკივ-
ლება თუ ფშტვენა იყო. ეამა — აი, მე, ბალ-
ახი და ჩიტი... საკმარისია... დავაი, დავიძ-
ინოთ — უბრძანასავით საკუთარ თავს,
მარცხენა ბეჭზე გადაბრუნდა და ბალიშად
მოირგო ნამიანი მიწა — ჩიტო, ჩიტო, ჩი-
ტუნა, არ გაჩუმდე შენ, არა — ჩურჩულით
წამიღერა ჩასაძინებლად.

„მართლა რა უცნაური ადგილია,
ნაღდად არ მეჩვენება. ფიზიკის კანონებია
დარღვეული“ — გაიფიქრა და, წესით, სა-
დაც ცა ეგუვლებოდა, იქით აიხედა ერთი
ცალი ვარსკვლავის ან რაიმე გამონათე-
ბის დასანახად — არაფერი.

— დაველოდო გათენებას, თუ მზე არ
ამოდის აქ და „მარად და ყველგან“ დაერ-
ჩებით ერთად?... არა, სიკვდილს არა გავს,
დაბრუნდეს არ ვგავარ. ორჯერ შევეფე-
თეთ სიფათებით ერთმანეთს მე და
სიკვდილი, ორივეჯერ გაფუცინე უნებ-
ურად, როდესაც მეგონა, რომ მორჩა, ეგ
არის, „შენა ხარ-მეთქი“ — ვუთხარი. ჩემ-
და უკითხავად გამიხარდა მისი დანახვა...
„დიდხანს გელოდი“ — წაუღერა — შენ
და, სიმშვიდე მაინც ვერ დავიმსახურე,
როგორც ოსტატმა ერთმა?... თუ, დედის
ტყვნა, დაუღალავად მუდმივი?... ბუდისტე-
ბის გამკვირვება; თავიდან დაბადება, თუ
წარსულის გამოცდილების გარეშე — რო-
ბოტი ხარ თუ სიზიფეს ლოდს დათრევე?..

ბლომად უფორთხია ამ ციციქნა მშრალი
კუნძულის აღმოსაჩენად. სწრაფად
გააქვავა და დახეთქა ნაპრალებად ლაფი
მზემ. წყლის კალაპოტიც დაავინროვა,
ლამის მუჭში გასაძრომ სისხომდე. „აუ, რა
ცხელა!“ — ტანზე ტალახით მიმხმარი
მაისური გაიძრო, წყალში ჩადა და წავი-
და ჩათლახ ხიდად... როგორ გადარჩა?
ხიდა ქვეშ, სადაც რომ გადმოასკდა ორ-
ჯერ მოუმზადებლად, მეტრი სიმაღლის
არმატურები იყო უფუნქციოდ დათქო-
ბილი და ამოფერილი ზევიტკენ, თითქოს
ხიდიდან დასასვლელად ვინმეს გადმოტყ-
ორცნისას ჩამოსაცობად გამზადებულე-
ბი. ავად დახრახნილი ტანებით ნამოტიმ-
ულიყვნენ სხვადასხვა გრადუსით
დახრილები, ძნელად ასაცდენად დარ-
გულები ვინმე მზაკვარი ფანტაზიის მქონე
ჯალათის მიერ. ხელების ერთ შემორაგვა
ტერიტორიაზე იპოვა საკუთარი დავარდ-
ნის ანაბეჭდები. ორივეჯერ ერთსა და
იმავე მომცრო სიმრგვალეში ჩავარდნილა.
როგორ მოახერხა ასე მორკალება, ემბრი-
ონის პოზაში ჩახეთქება რკინებს შორის
გამოზომილად? მფარველი ანგელოზი
სწყალობს მთვრალბსო... და არა მარტო
მთვრალბს. მიადგა „თავის“ რელსს, ხელი
მიარტყა ორჯერ მადლობის ნიშნად და
აძვრა ნაცნობ ჟანგებზე თითების დათხ-
ვრით.

— შენ აქა და, საიდანო? — ანდრო
ჩამოდიოდა ღელისკენ.

ორი სიტყვით მოუთხრო ალექსიმ თავს
გადამხდარი ღამის ამბავი.

— მერე, გეხმო ძმობილისთვის, ბანარს
მაინც გადმოგიგდებდი, აგერ, მუხას ვთხ-
ოვდი რკოს, მივუტანდი ღორს და დაგი-
წნავდი ჯაგარს საშველად, — სიცილი აუ-
ტყდა ანდროს.

— ეხლა მიშველე, თუ ძმა ხარ, თავი
მისკდება და ნაწილ-ნაწილ ვიშლები.

— შენ რომ ჩემთვის ბალახი არ მოგი-
ტანია? — თვალბმოჭუტული იცინოდა
ანდრო, — წამო, წამო, ბალახიც მაქვს კარ-
გი, შესაშური, და ორნახადი ჭანჭურის
არაყიც.

— რა ნახე? — საკუთარი ხელით გამო-
ჩორკინილი „ბალახის“ გასაბოლებელი
ჩიბუხი გადაანოდა ანდრომ ნაფაზდარტ-
ყმული.

— რავი, ბნელოდა მაგრად, — უპასუხა
ალექსიმ, ღრმად მოქაჩა ჩიბუხის წვრილი
მილიდან „მოსანევი“, ცოტა ხანი შეიკავა
სუნთქვა და დიდ გუნდად გამოუშვა ბოლი.
სამხერხაოში ისხდნენ მაგიდასთან. შუშის
კოლბიდან ისხამდნენ ჭანჭურის არაყს
მოვერცხლილ ჭიქებში და ხილს და
„შალას“ ეტანებოდნენ ზანჭად.

— რა დანახე თუ ვერ დანახე კი არა,
რა ნახე-მეთქი? — დაკვირვებით უყურებ-
და ანდრო.

— მეც მაგას გეუბნები, — უკან
დაუბრუნა ალექსიმ გაღვივებული ჩიბუხი,
— პრიატნი სიბნელე ვნახე, მისთვის დამ-
ახასიათებელი არც თუ სიმპატიჩნი განწყ-
ობილებებით.

— ამფსონები, პერსონებიც ახლდნენ?
— ჩაეკითხა ანდრო ინტერესით.

— ვის?... საბნელეთის სიმონთვის კითხ-
ულობ?... არა. რა გინდა, **белую горячку**
шьеш, начальник? — მშვენიერი მოსავა-
ლი მოუყვანია ანდროს ზრუნვით და რუ-
დუღებით. ჭანჭურის არაყიც გადასარევი,
პახმელაზე გამოსავყვანად იდეალური
შესთავაზა ალექსის.

— მულამები არ გაუჩითავს, უბრალოდ
შეგაშინა ბუასავით? — სითხითებდა ან-
დრო.

— ჰო, მაფორთხა ჭალეში და მყვირა
მოგუდულად... სიტყვას მიქრობდა ეგ ახ-
ვარი, — იცინოდა ალექსიც.

— ბელა, მოდი, შემოგვანე რამე, —
სამხერხაოს გვერდით მიბჯენით მდგარი
სახლისკენ გაიძახა ანდრო.

— ჰოუ, მოვდივარ, — ახალგამომცხ-
ვარი კექის ნამცხვრით ხელში შემოვიდა
ბელა.

— ბელა ჩემი ქალია... — ოღნავ ცხვირ-
ში თქმით, სასაცილოდ გამოუვიდა წარდ-
გენა ანდროს.

— **На оставшуюся твою жизнь.** მე ბელა
ვარ, ამის ქალი, — დასცინა ანდროს და
ალექსის მიესალმა.

— ალექსი. სასიამოვნოა, — თავი
დაუკრა ფეხზე წამომდგარმა და ანდროს
გამოთლილ სავარძელში ჩაჯდა ისევ.

ლამაზი იყო ბელა: ოღნავ დაბალი, გარ-
გრისფერი ჭორფლებით ყვრიმალბზე და
ცხვირზე, დამცინავად მოლიმარი მწვანე
თვალბით და ნაბლისფერი თმით.



— ბელა, ჩვენი გაცნობის ამბავი მინდა მოვუყვებ, რაღაც მსგავსი შეემთხვა გუშინ მასაც...

— შენც შეაღებ კარი? — ჰკითხა ბელამ ალექსის და სუფრა გადამწინდა დაყრილი თუთუნისგან და ხის ფურჩუკებისგან.

— რომელი? — იკითხა ალექსიმ.

— რომელიც, ჯობია, არ შეაღო, — თეფშებს ალაგებდა ბელა.

— ბელა „ბელაიას“ დროს გავიცანი, — იცინოდა ანდრო, — ციროზის დიაგნოზი რომ დამისვეს რამდენიმე წლის წინ, შავი-ნინი რაღა, და შევეწყვიტე სმე. უკვე ორი კვირა არ მქონდა წვეთი მიღებული, სუხ-ოიხე ვიყავი, როცა მოიდა...

— ჰო, „ბელაია“ გადაგდებულზე, გამოფხიზლებულზე გეჩიობა. სიმთვრალეში მომხდარი ფსიქოზია, ალკოჰოლური მონამვლით გამოწვეული ფსიქოზი, — საკუთარი ერუდიცია გამოამჟღავნა ალექსიმ სასმელის აკვარგვიანობასთან დაკავშირებით.

— მართალი ხარ, გცოდნია, — დაეთანხმა ანდრო და მოსაყოლად გაემზადა, ენერგიული ჟესტიკულით უვლიდა წრეებს მაგიდას, — თავიდან შესანიშნავად დაიწყე. რამდენჯერმე კი შემომესმა გარდაცვლილი მამაჩემის დაძახება შორიდან, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება, ნავუყრუე, უბრალო ხმაურად ჩავთვალე. დავეჩქი ლოგინში მკაცრად ფხიზელი. ძილის მოყვანას ვცდილობდი. არ მოდიოდა. ძილი არ მქონდა კაი ხანია... და უცბად, გაორება დავიწყე. მშვიდად და დინჯად დავეტოვე ნაწილობრივ ჩემი სხეული და გვერდიდან მივსაღებე. ხელი არ ჩამოგვირთმევია. გაოცებული ვუღიმიოდით ერთმანეთს მე და მე. „ნაწილობრივ“ იმიტომ გიხსენე, რომ იქაც ვიყავ, აქაც ვიყავ, ანუ, ისიც ვიყავ და ესეც. ორივეს ვგრძნობდი და ორივე მე ვიყავი ფიქრითაც და განცდითაც. ფიზიკური სიმსუბუქე და კომფორტი ახლდა გასაოცარი, აქამდე არ ნახული. უწონადობას განვიცდიდი და სხეულის გასაოცარ ფლობას. ყოველ უჯრედს, ნერვს, ძარღვებში მიდინებულ სისხლს ვაკონტროლებდი და ჩემს ნებაზე ვმართავდი. ვინეკი და ვაცდელი მოვლენებს განვითარებდა. ჰა, რა უცნაურობას შემომთავაზებდა კიდევ კარგს... ჰო, მხოლოდ კარგის მოლოდინში ვიყავი გაშეშებულად, გაუტოკებლად მწოლიარე. ფიცხი არიფივით არ წამოვმხტარვარ და კაჩაობა არ დამინცია ბუნების კანონებთან. დროში და სივრცეშიც გადავიწაცვლე. 1958 წლის ლენინგრადის სადგურზე ამოვიჩნდი გამცვილებელ რუს ორ მზეთუნახავ გოგოსთან ერთად. ლალი ვიყავი, რამდენიმე უცხო ენას ვფლობდი უბადლოდ, და საერთოდ, რაც ხდებოდა, ჯერჯერობით ყველაფერი ძალიან მაგრად მიდიოდა, ყოველ შემთხვევაში, *пролетая седьмой этаж*, ამგვარად ვფიქრობდი...

— მხოლოდ ეგ მეშვიდე სართულია ჯიგრული, მანდ ასწორებს, დანარჩენის დედაც, კრის! — მწარე ჩაცინებით შეეხმინა ალექსი „შესანიშნავ შედეგულს“.

— არ ხარ შენ დღეს ხასიათზე, ჩემს ბესებზე რომ მოგყვებ, — მიუხედა ანდრო.

— შენებისაც და ჩემებისაც, მაგათი... ბელა, შენთან არ შევიგინები, — თქვა ალექსიმ.

— ბელამ გამიხედა ეგენი საჭირო გადასხმებით, — დამეხებულად თქვა ანდრომ, მერე ისევ ვერ მოითმინა, აინთო მოსაყოლად და წამოიწყო ენერგიულად, — ...თან, ორ წინკას ვიცნობდი ძველი ამბიდან, მაგ ახვრებს, მუხლებზე რომ შემომასხდნენ და ხუმრობა რომ გამიმართეს. თავიდან ბლომად ვიცინეთ, მაგრამ ბოლოს გაბლატავდნენ და თავი გამალახინეს... მაგრამ ვცემე, მუშტები მქონდა დახეთქილი... შეხვედრილები ვიყავით ადრე, ღრმა ბავშვობაში... მაიცა, ცოტას მაინც მოვიყვებ. სადღაც, მათე კლასში მე და ჩემმა ორმა ძმაკაცმა ზამთარში პიკუნდაში მოვიხეთ. საახალწოდ მოსკოვი-როსტოვის მატარებელს ავახტით. ზესტაფონთან თოვლი ჩამოწვა. რამდენიმე დღით გავიჭედეთ ნამქერში. მთელ დღეს ვაგორ-რესტორანში ვატარებდით, „Русская“-ს ვურტყამდით და უგემურ „ტაბაკას“ ვლრდნიდით. ორი მანანწალა ტრიალებდა იქვე. ერთი ბავშვი იყო, თერთმეტი-თორმეტი წლისა, არასრულწლოვანთა კოლონიიდან გამოქცეული, უჩათლახესი, ბევრი თახსირობის მნახველი თვალებით; მეორე — ვზროსლი, ოცდაათისა იქნებოდა, მაგრამ სიმალლით დაბლ-

ბი და ტოლები იყვნენ. ...მოკლედ, რაღაც უსიამოვნება მოუვიდათ ორ ახალგაზრდას, რომლებიც შორიდან ამაყად გვაჩვენებდნენ ნკვიზა ქსივეს, ხელში მიცემა არ შეიძლებოდა — უფროსი ილდებოდნენ საკუთარ „სინმინდეს“. რაზობრკა ჩვენს კუბეში მოხდა. დაასწრეს მანანწალაებმა, ხიეს და ხიეს თითო-თითო ძალეებს დახურულ სივრცეში. ჩვენც წავეხმარეთ, გზა მივეციტო გასაქცევად, ოპერებს ხოდი გადავუკეტეთ და ვაცადეთ, გაჩერებული მატარებლიდან ორმეტრიან თოვლში გადამხტარიყვნენ. ჭყინტმა ოპერებმა, როგორც იქნა, გაინთავისუფლეს გზა, ვაგონის კარი გამოაღეს დადევნებულეებმა, და ჰოპა!.. არც ერთის ნაფეხური, ნაკვალევი თოვლზე არ ჩანდა. არადა, გადახტდნენ, ბორცვი გადაირბინეს, მეც და ჩემმა ძმაკაცებმაც დავინახეთ... ჰოდა, მრავალი წლის მერე ეგ ორი სიმონა დამეხეტა ჩემს მუხლებზე მოკალათებული. ეგ ძველი ამბავიც გავიხსენეთ, სხვაც ვთქვით სალადაოდ, მაგრამ ხომ გითხარი, გახურდნენ და თავი დამაქოთინეს. მერე უფრო ჯანინი და ბლატნი ბესი მოიყვანეს...

— აღარ გააგრძელო, აღარ დაბრუნდე მანდ! — შევივლებას ჰგავდა ბელას ნამოძახილი.

— ჰო, მერე უფრო მძიმეწონიან, მურტალ ტიპთან მომიწია შეხება... და ბელამ მიშველა, ჩემმა გოგომ, თორემ დავმარცხდებოდი ბოლო-ბოლო, — დანებდა ანდრო და აღარ გააგრძელა სიტყვა.

— მართლა გეყო, მეც გამიღია და აღარ იხურება ეგ კარი, — ჩაილაპარაკა ალექსიმ.

„ოლიკო მინდა“ — გაიფიქრა ალექსიმ და გაეცინა თავისმოსაწყლებაზე, დიდი სითბოს მოთხოვნაზე.

ქეთიზე ფიქროს გაურბოდა. თან სდევდა მისი სურნელი, პროფილი... მიდი და დაბლოკე მონატრება. გრძობა ჰქონდა ძლიერი, შვიდი-რვა წელი გაატარეს ერთად. „შენი ჭროლა თვალების დედა ვატრე“ — სევედამ დაურა ალექსის.

— ...სიბერეში კაცს ეშინია მარტო დარჩენა, — თავისას აგრძელებდა ანდრო, — მაგას ნაღდად არ დაეფუტებოდა არასდროს. უბრალოდ, ღმერთმა ინება და ეს სასწაული გოგო გამომიგზავნა ბოლო პასადკაზე, — გარეთ გასული ბელას სადღეგრძელოს სვამდა.

— ბელას გაუმარჯოს... ქეთის გაუმარჯოს, ჩვენს ქალებს გაუმარჯოს, — გადაჰკრა ალექსიმაც.

ქეთის გაუმარჯოს, აბა რა. წამოსვლისას ილაპარაკეს მშვიდ ტონალობაში, ჩხუბის და ხმამალალი გარჩევების გარეშე. ერთხელაც გადახედავენ სიყვარული არსენალს, შემორჩათ ვაზნები თუ აღარ... — მოდი, ოლიკო, — ბელას ხმა გაიგონეს. ღობესთან ოლიკო იდგა თეფშით ხელში.

— მოვიდა ვარსკვლავგოგონა, — ანდრო შეეგება ჩახუტებით და პირდაპირ სამხერხაოში, მაგიდასთან მოიყვანა ოლიკო.

— ბებოს გამოცხვარი ხაჭაპურებია, — თქვა მან და თეფში მაგიდაზე დადო, — მიირთვი, სანამ ცხელია, — ზედ გადაფარებული ნაჭერი შემოაცალა თეფშს და არყის კოლბასა და ხილის თასს შორის მოათავსა, — დანას მოვიტან ახლავე, — ბელასთან გაიქცა ოლიკო.

— ფანტასტიკური გოგოა. ბელასთან დამეგობრდა, — თქვა ანდრომ და ჩიბუხი დაფერთხა მაგიდის კიდეზე. ნახერხზე დაყრილი ნამწვავები ფეხის დაბიჯებით ჩააქრო.

„ოლიკო მოვიდა, მზე, მანატრებელი ბევრი კარგისა“ — გაეფიქრა ალექსის.

— ბიჭებო, — ბელა შემობრუნდა კომპოტიანი გრაფინით და დანით ხელში, — სპექტაკლი დაუდგამთ ქალაქის კლუბში. პრემიერაა დღეს საღამოთი. ქაქუცას შესახებ ყოფილა... ნავიდეთ, შეხვდეთ, — თქვა მან, წვენი ჭიქებში ჩამოსახა და ცხელ-ცხელი ხაჭაპურიც დაჭრა.

— კიდევ რაღაც მიზეზი უნდა არსებობდეს ჩვენი კულტაპახოდისთვის, — ინტერესით გახედა ანდრომ.

— ჰო, — გაეცინა ბელას, — ოლიკოს მარტოკას არ უშვებენ... სოფელია მაინც... მისი ბიჭი თამაშობს ქაქუცას და ნაყოლა მთხოვა. ჩემთან ერთად გამოუშვებენ.

— ნავიდეთ, — დათანხმდნენ ანდრო და ალექსი.



ბექა ქურხული სკანდარა

დასაწყისი №208

ბაქარა 1992 წლის გაზაფხულზე ცხინვალის პირველ ომში ზემო ნიქოზის თავში, ცხინვალში, „შახნაის“ უბანში მოკლეს რუსებმა, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ ასაპოვის მიერ განხორციელებულ შეტევისას. ეს პირველი მსხვერპლი იყო გომბორში, მაშინ დაწყებული ომებიდან და მასსოვს, რაღაც მნიშვნელოვანი რომ შეიცვალა. რაღაცა უმნიშვნელოვანესი. უკანმოუხედავად და საშინლად შეიცვალა. თითქოს რაღაც ჩამოინგრა და ჩვენი წარსული და ბავშვობის საბოლოოდ ჩაიტანა თან. ბაქარას ძმაკაცები იქაურ — გომბორში, კოჭბანში, ბოჭორმაში და გორანაში მცხოვრებ ოსებს გამოუერვივნენ. საბედნიეროდ, ვერავინ მოკლეს, გაასწრეს ხსენებმა, მაგრამ სრულიად უდანაშაულო ხალხს ამდენი ხნის ნაცხოვრები ფუძე, სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი, დაატოვებინეს, გადაუბუგეს და ოხრად დაუტოვეს. ამ ბიჭების უმეტესობა გვარდიაში შევიდა, თავადაც ომში წავიდნენ და ბევრი მათგანი დაიღუპა კიდევ. მასსოვს გვერდიგვერდ მდგარი, შავ პერანგებში ჩაცმული მამაჩემი და ვალერა, ორი ამხელა კაცი, ქუჩაში დაყრილი ობოლი ბავშვებით რომ ღრიალებდა, როგორ ეხუტებოდა ვალერა და ეხვეწებოდა ფშავურად, „მიშველე, ჯემალო, მიშველე ძმაო...“ და სიკვდილივით გადაფითრებული, ატირებული და საოცრად შემზარავად უმწიო მამაჩემი ჯემალა. აკვილებულ ელისო დეიდას დროდადრო გული მისდიოდა და წყლით აბრუნებდნენ, მიახლოებულ ქმარ-შვილს კი ხელის ქნევით იგერიებდა: „მომწყდით თავიდან, ნუ მეკარებით, თქვენი რუსი ჯიში ამოწყდა, თქვენ მოკალით ჩემი შვილი...“ მე და ბაკურა ზუსტად ჩვენი მამებივით ვიდევით გვერდიგვერდ შავი პერანგებით და განუწყვეტილ მივლიდა საშინლად ცივი, ძვლების გამყინავი ურუნტელი და არ ვიცოდით, სად წავსულიყავით, სად შეგვეფარებინა თავი. თუ ვინმე მაღლიანი რამეს დაგვაავალებდა, ჯემალას მანქანაში ვხტებოდით და გომბორის მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ისეთი სისწრაფით მივაფრიალებდი მანქანას, თითქოს ბაქარას სიკვდილს მივსდევდით, რომ მივუსწროთ და გადავაფიქრებინოთ, უკან დავაბრუნებინოთ. თვით სიკვდილიც ვერ დაგვიბრუნებდა. დრო იხელთეს და ელისო დეიდას რომ არ დაენახა, ბაქარას ის პერანგი ჩაატანეს კუბოში, ბრძოლის დროს რომ ეცვა. სისხლით გაუღენთილი, ჯავშანმანქანის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით ზედმარცხენა, გულის მხარეს დაფაცხავებული, დაცხრილებული პერანგი. მასსოვს, იმ დღეებში პირველად და უკანასკნელად დავამტრე მანქანა. სასაფლაოზე გაგვაგზავნეს მე და ბაქარა, იქვე კორნილოვების სახლთან მოსაბრუნებლად შემოვუხვიე და მეზობლის ფიცრული ლობე შევიტანე უკუ-სვლით. ეგერთ ნოდელი „შიტიკო“ სანახევროდ მოძვრა და მანქანას დაეკიდა. ჩვენსკენ შემობრუნებულ ხალხს მამაჩემი ჯემალა გამოეყო, ხელის ერთი მოქნევით მოაგლიჯა შერჩენილი „შიტიკო“ და ისე მიაგლო ღობესთან, არც მანქანისთვის შემოუხედავს ზედ, არც ჩვენთვის. ნავიდა ისევ ვალერასთან. ჩვენ გავფრინდით და

სასაფლაოს რიყიან აღმართზე მაგრად ვიტირეთ მე და ბაკურამ. ის „შიტიკო“ ძალიან დიდხანს ეგდო იმ შენგრეულ ღობესთან. წლები. რატომღაც არავის გადაუგდია. საფლავის შავი მარმარილოს ქვაზე ბაქარას ფოტო იყო სამხედრო ფორმით, მწვანე ბერეტით და წარწერა — „ბაქარ (ბექა) კორნილოვი 1972-1992“. მასსოვს, კიდევ ერთხელ როგორ დამიარა ცივმა ურუნტელმა, როდესაც საფლავის ქვაზე, ჯვართან, ჩემი საკუთარი, თუნდაც ფრჩხილებში ჩასმული სახელი — „(ბექა)“ — ამოვიკითხე. მას შემდეგ ბევრი რამე მოხდა, უამრავ ახალგაზრდას საფლავთან ვიდევით, უახლოესი ძმაკაცების, ჩემი მშობლების, მაგრამ ის დღეები მაინც საოცრად ცხადად დარჩა. როდესაც სიკვდილი მთელი თავისი სიმძაფრით, სისასტიკით და ტრაგიკული დიდებულებით ჩამოდა ჩვენს ოჯახში, ჩვენს ბავშვობასა და ბავშვობის ლეგენდებს შორის და პირველი შეგრძნება იმისა, რომ შეიძლება შენ, მამაშენი ჯემალა, ბაკურა, მამამისი კორნილოვი ვალერა, უცნაურ თანატოლები გახდეთ, ერთად იდგეთ, ერთნაირად დაუცველები და დამარცხებულები. შენზე სულ რაღაც ორი წლით უფროსი ძმა ბაქარა ტყვიამფრქვევით დაცხრილებული იწვეს კუბოში, მის საფლავის ქვაზე კი შენი საკუთარი სახელი „ბექა“ ეწეროს.

ეს მერე იყო, მოგვიანებით. ჯერ კიდევ შორი იყო იმ დღემდე, როდესაც 90-იანი წლების შუაში ამ ყველაფერ უბედურების შემყურე პაკოზამ, უკვე წნევადატყმულ და ცალთვალდაკარგულ მამაჩემ ჯემალასთან სტუმრად მოსულმა, თქვა: „სუტყული ყოფილა ყველაფერი... რო ქართველებ რაღაც ხალხი ვართ... რაღაც გვიქნავ, ჩავვიდნავ!.. ტყუილი!.. ჩვენზე ჩათლახ და არაფერ ხალხ არ ყოფილა, ძმაო, თურმე, არ დაიბადება ქვეყანაზე, არა...“ მასსოვს, ამის გაგონებაზე როგორ ჩამწყდა გული და იმის მიუხედავად, რომ ჩემს ბიძებთან ბავშვობიდან შეხუმრებული ვიყავი ფშავურ ადათზე, იქ ვერაფერი ვეღარ ვთქვი და გულმოკლულმა გამოვიხურე ჩაბნელებული და „კერასინკის“ სუნით გაჯერებული სახლის კარი. ქუჩაში გამოვედი.

იმ დროს კი, როდინდელ ამბავსაც ვყვები, ეს ლეგენდები, რომ „ქართველები ცოტანი ვართ, მაგრამ მაგრები“, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მართლაც, გომბორში აზერბაიჯანელებიც გაცილებით მეტნი იყვნენ და კახაკებიც. აქვე მართლდებოდა მეორე მითიც, რომ ქართველებს ერთობა ძალიან უჭირთ — ფშაველები და ხევსურებიც ძალიან ძნელად ერთიანდებოდნენ და შიგადაშიგ ერთმანეთსაც ძალიან დიდი მონდომებითა და გულმოდგინედ დაეუბრებოდნენ ხოლმე.

აზერბაიჯანელების მხარეს დროდადრო გამოჩნდებოდნენ მაგარი ბიჭები და დანარჩენებიც მათ გარშემო ერთიანდებოდნენ. რამდენიმე ლოკალური გამარჯვების შემდეგ კი თვალს მიაპყრობდნენ მთავარ ციტადელს — გორაზე შემომდგარ მრგვალ რესტორანს და შიგაგამარჯვებულ ორ ჯველს, პაკოზას — გოგია ქისტაურს და თვირთვილათ რეზოს — რეზო გახუტელაშვილს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დასასრული შემდეგ ნომერიში



პროლოგის აბიჯი

ეხები თითქოს დამეჭვებულ გირჩებს — ხელით ეხები — არა და თვალთ უმზერ; ჯანლიან ფერებს, ჯანლიან ფერებს ირჩევ და ხატავ ასე სევდას მონოლილს გულზე. დახვალ, დაგყვება პასტორალური ხიბლი, ჭალის ფშანების ამოსაცნობი ხმები; გადაშლილია თვალნი ბუნების წიგნი და ფურცელ-ფურცელ იბადები და კვდები.

უმთვარე ღამის კავალერი

ცას ღრუბელი გუფთა-გუფთა ჩამოაყურძნ-მტვენიანებს, ჩემი დარდი მეც რო ვუთხრა ამ დღეს — დავასევდიანებ. ხმა — სიტყვების წკარუნია — ნამღერების კვალზე მიდის, არც რო დანაშაულია, რო ვარ ასე მიაშიტი. ყოველი დღის გაზღაპრება, სანყისი და... სასრული და... საიდუმლო მოაქვს ებანს ჩემი გვარის წარსულიდან. ფაგოტი და ვიოლინო სმენას მორცხვად ეტანება, მზერა უნდა მივანვინო ტკივილნარევე ნეტარებას. იხატება ვარსკვლავები შორეული ციაგიდან, თუ პეპელამ გახსნა ფრთები და ტოტს ნაზად შეაფრინდა. „მზე, მზე ხდება მონა ნისლის“ —

სილამაზის ვისმენ ქებას — ვუჭერ ხელს და ჟონავს სისხლი და იდაყვი მისველდება. და სიზმრიდან გადმოთარგმნილ ამბავს

მაჯაც შეახშირებს, მინდა გავდო რამე თალი —

სიზმრის ცხადთან მეკავშირე. ჩირგვნარების ხაოები ჩუქურთმებად შევინს არეს, ტყეებს თვალთ გამოვები და გარემო შევიცვალე. მოზეიმე ქაოსიდან ჩიტის ამომზეურებას ვიდრე სმენა ამოზიდავს, სულს მანამდე შევუბერავ. მოჩვენების წყვდიადიდან შიში თავს რო გამოიხსნის — რა თქმა უნდა — მე არ მინდა

და მხარს მაინც გამოვიცვლი. არის, ზოგჯერ ელვა ცაში, უნდოდ გაიმალიმალებს, ვიმალები ამ დროს ბავშვი, დიდიც ბევრჯერ დავიმალები. მოტორტმანე ხეა ქარი და ნიავე არის ტოტი; სარკმელს სახით მივეკარი — თუ ვტიროდი, რა ვიცოდი. დააჩნდება ორთქლი მინას, როგორც რამე მოლი მცირე, თვალმა იმ დროს მოიწყინა, ცოტა მეც რო მოვიწყინე. მთარული სენი არის — მიზეზ-მიზეზ ვიადვილებ — ვნუხვარ, ხშირად ჩემიანის, ნაუკუთხავ სინამდვილეს. მამლის ყივილს ძაღლის ყეფა ხშირად მართლა ეჯიბრება, ცა, ცა ანევეს ამდროს კეფას, მინას ფეხით ვებჯინები. ცის და მინის შუაკაცობა ერთობ რთული რამე არის და სისხლს, ძარღვში ნაღვარცოფარს,

შუბლი ამხელს ნამიანი. დაცივნის თუ სიამის თუ სინანულის შუქით ვხარობ, გონებასთან გვიან მისულ აზრს ვუპირებ მივეხმარო. დისონანსი ჰარმონიას მჩატედ მოაჩრდილიანებს, არ მოვიდეს, არ მგონია — ცოტას მაინც იგვიანებს. ასატანი ხდება სევდა, შიშს რო შიში შეიზავებს, დღემდე ნაბიჯ-ნაბიჯ მსდევდა, ხვალეს —

ხვალე შენიშნავენ. მოშულარი ქარებიდან ერთის გამართლებას ვცდილობ და უმთვარო ღამე მინდა რიჟრაჟამდე მივაცილო.

შუა-ჩრდილის ჯაჭვი

ხელჩაქეული კაცის ატარებ უღელს, ყინვა გაცვია, ტანზე გაცვია სუსხი. სიზმარი ნახე, სიზმარი ნახე ნუხელ და საკუთარ თავს ახლა ზიხარ და უხსნი. გულზე ტკივილის ამოჟონილა ხავსი — წყალნაღებულის ბოლო იმედი რამე; თავს ეკითხები — „მაინც ისეთი რა ვსვი — რო რახანია — დღე მეჩვენება ღამედ.“ შიშმორეული და მღვრიე ქაფის გაღმა ცაზე ეკიდა ელვის ენების ხონჩა. ძირს — ტრიამელი და გზები აღმა-დაღმა — აჩქარებული ავტოგრაფივით რო ჩანს. გადარბენილი ჩრდილი გაღანდა თვალმა და შეიბოლა მოგონებები შორი: წნორი. კოპიტი. ფიჭვი. კედარი. პალმა. პალმა. კედარი. ფიჭვი. კოპიტი. წნორი. თავშესაფარი თუ სიმარტოვის ქოხი, ჩალით ნაგები და დახურული ისლით; რამე შორიდან დასანახავად რო ღირს, რამე შორიდან მოალერსების ღირსი. ახლა ლერწმების მოსევდიანო შრიალს დააჭამნიკებს ქარს განდობილი სმენა; რა ცოტას ხედავს ამ დროს თვალები ღია, რა ცოტას ამბობს დამუნჯებული ენა. შემაქცევარი ნალიდინებით ართობ შენივე თავში დღემდე ჩარჩენილ ტუსაღს; რამდენი რამე უნდა დათმო და დათმო, შხამს და სამსალას ბედის კარნახით თუ სვამ. ანმყო — ნამება. რომანტიკული — ხვალე. ორთავეს ერთად ათბობს წარსულის ხათრი. რამდენი რამე მალე, მალე და მალე, რამდენი რამე არ თქვი, არ თქვი და არ თქვი. ტარტაროზების ხელით ნაქსოვი ბადე. კაემანებით ამოლამბული ქსელი.



ზაალ ებანოიძე

ბნელ ღარტაფებზე მზერა ხიდივით გადე და აღარ იცი ახლა — ტირი თუ მღერი. გზათამიერი ბევრი ხიფათის მერეც, უნდა იგივე, უნდა იგივე დარჩე; დამგზავრებული კრუხივით კუთავს ღელე და მოლზე შეხეფებს წინილებივით აჩენს. ფიქრი. განწყობა. აზვირთებული ფიქრი. მორცხვი სინაზე. ფერადოვნება — რბილი. არ გიცხოვრია სახეზე აკრულ ნიღბით, არც შავი გულით და არც რო თეთრი კბილით. ნისლის მარმამი დაეფინება ველებს და შეგინამავს აელვარებულ თვალებს; ჯერ გარღვეული სამყარო ძილში კერე და მერე მკერდში ჩვილი ბავშვივით მალე. ტბის ლივლივიდან ამოსესხებულ ღმილს შროშანის მშვიდი ბუნებრივობა შევინს; ასეთ დროს ღანვზე კენტი კურცხალი ღვივის — ენით უთქმელი, ენით უთქმელი ძღვენი. ჩნდება იმედიც, უიმედობის მიღმა, თუ რამე სხივ — უწონადო და მკრთალი; და ხელის გულზე ქირომანტივით ილბალს ითვინიერებს ჩაძიებული თვალე. გაელვებიდან გაელვებამდე რო ხარ, უფლის წყალობით გასულფონებაც გელის; და გევალება მუხლის მორჩილად მოყრა და სალოცავად ცისკენ აშვერა ხელის.

* გასულფონება — ღმერთთან მიახლოება(ხევსურული დიალექტი).

აიფელიკა უკვე ნისლმა ტყეები ვრცელი და მოგეყურა ამდროს ის ხმა — რომელსაც ელი.

3. ცხენის ფიგურა გაღმა. გაღვიძებული დარდი. მგონია ფეხზე გახმა ცხენი და ცხენის ლანდი. მოგონებაში ხარობს ბევრი შავი და თეთრი — გეტქმის ასეთ დროს რა რო — „შემეშინდა და შევეკრთი“. წვიმის ბადურა ბინდი. ჟრჟოლის ფარული განცდა. ძილში თუ მაინც მიდი — ცხადში უპოვარ განძთან. მოიხალავათა მზერამ გზა და დაანდო თვალე, ქარს გამოება ძერა თუ ძერას თავად ქარი. გზა-გზა — ძახველის შუქი. გზა-გზა — კუნელის ჩერო. წვიმა — მელანი ღრუბლის. ცა. წერტილი და წერო. და დგას ნიაქი ცაში, ცაა წეროსთვის ღია და მეოცნებე ბავშვის გულის ნადები მიაქვს. ტბორში შენავდა ჩრდილი და თავის თავით ხარობს. სადაც რო ღელე ტირის, იქვე ჩუხჩუხებს წყაროც. ეტიუდების ჯამი — დასრულებული ტილო. დაინყებულები წამი განმეორებას ცდილობს: ზურგით დამდგარი ქალი. სარკე. სარკეში — სახე. ჩუმად მუშაობს თვალე — ეს, აბსტრაქტული მახე. საგნებს ჭირდება ჩარჩო, მერე შუქი და ... მორჩა — რო თითო-თითოდ ხარჯო, რაც რო შორიდან მოჩანს: მოლი. ღრუბელი. ფთილა. თქორი. ჩანჩქერი. ისლი. ჭალა. ურემი. თივა. ტბორი. ლერწამი. ნისლი. „რო ყველაფერი გტკივა — შენია, განა სხვისი?“ — ერთ და იმავს — მივალთ და მეათასედ მიხსნის.

უწონადობა. ხიბლი. ტვერი. სიშიშველე. ბანგი. დაუნერელი წიგნი. გაუგონარი ჰანგი.

ფესადგაული ღუმილი

ხვედრია შენი ლაგამის ღეჭვა და მარტოობა ხვედრია შენი; ეჭვი და რწმენა, რწმენა და ეჭვი, რაც თავი მახსოვს, ცალ-ცალკე გშვენის. და თვალში — ცრემლი. და შუბლზე — თქორი. თავს შიგნით — ომი და ჩრდილში დგომა. მოძრაობ „მე“-ს და არა „მე“-ს შორის და ყოველ ნაბიჯს კანკალით ზომავ. ილბალი ფეხის არევით მოგსდევს (ავი დარები დაყვება დარებს), ასე მგონია — ანგები ზოგჯერ, შენივე ხელით მოკეტილ კარებს. საკუთარ ყვირილს წაუგდე ყური — იქიდან აქეთ წამოსულ ექოს; და ამ დროს ფეხი აუდგამს ღუმილს, ამ უსხეულოს და უხელფეხოს. და ინვერება თავისით ძაფი, და იქსოვება ხალიჩა მერე (ამ სურათს ფიქრი — ქათქათა ქაფი, თავისდათავად კარნახობს ხელებს). კეკლუცობს მოლზე ყვავილი ნაზი, მოძრაობს ქარში ტოტები თუთის. ყურის დაგდება ეძლევა აზრი და ენის ადგმას მოითხოვს წუთი. და აცეტებულ წინკანებს მოყავს საღამო — მჩატე და ჭრელი ფატა. და ლაჟვარდების სიციხიან ლოყას არავის უმხელ და ჩუმად ხატავ. გარემოს ფორმას თავაზობს მზერა,

ატიუდავის ჯამი

1. საყანებში ეძებ და ხვილიფებში ელი. „შევეძლებ, როგორმე შევეძლებ, რო მივანვინო ხელი“. მართებს დევნება სმენას და მზერას მართებს ნამი, ასე აიდგამს ენას, ის — უსხეულო ნამი. მოლზე ჩიტების შეხეფებს უჩანს სადარო პირი. შორს ნაგაზები ყეფენ და ხეობები ტირის. უხილავია ხშირად და ამის გამო ფასობს — ჩურჩულით ამბობ — „დილას რა ალიკვალი ჰგავსო.“ როცა კაემანს მალავს და რიტმულ ხმაურს იძენს, გულის უფროა ღალა — ვიდრე, გონების სიბრძნე. თუ ხარ გუნებამოთენე — ჩიტის ჭიჭიკიც კმარა — რო სასნაული მოხდეს — ბზარი დააჩნდეს წკვარამს.

2. და საოჯახო ქრონიკები შენივე სახლის (ძილში რო მჩატედ მომიყვები და ცხადში დაგლის) ჟამიდან ჟამად ამოსროლილ გაყინულ ბგერას გაათბობს მაინც რა კოცონი და გულის ძგერა. ნართაულებს გადაგდება. სრულყოფა. აზრი. იქვე — უსაქმო ქადაგება. ყაყანი ბაზრის. ცნობიერებით როცა თვრები — არსებობ იცი, გასურს მოითმინო მოსათმენი შენიც და სხვისიც. ქარი აცერებს ახლა წვიმას, მინდორი სველი, იდუმალებით ნასაკითხავს ჩამოჭგავს წერილს. და დაელმებულ სარკმლის მინებს ეყრება ჭორფლი, სიზმარში ქალი გაიღიმებს და ცხადში გყოფნის. მშვენიერისკენ მისწრაფებაც სიკეთეს ნიშნავს, შორს რიბი-რაბო ისახება თუ ეს დღეც იშვა. წნორის გულჩვილი ბუსუსების ფარფატი შორი, თითქოს საკუთარ გულს უსმენდე — ხმაურობს ტბორი.

თუ უნებურად უჯერებ თვალებს; რაც ამ დღეს გენამს და რაც ამ დღეს გვეჯერა, ითავისებ და იყენებ ხვალე. ლანდების რულით არბილებს სურათს, თუ აძლევ სულაც ახალ ღირსებებს; იხსენებ უკვე და ხვითქმი ცურავ, იხსენებ, უკვე, შენ თავს იხსენებ. აჩნდება სმენას ასეთ დროს ჩქამი და ზამთრის ამინდს — ყინულის ლოლო; წამი წამს მისდევს და თითო წამით, ხომ ვიცით, ჟამი შენდება ბოლოს.

მნათე უხარსულოა

აჰა, თითქოს თენდება, სიზმარს ამოეცლები და ცხადს მიუკაკუნებ, კარზე როგორც სტუმარი: ბინდში თავგაყოფილი წახვალ ხელის ცეცებით, მოჭარბებულ სიფრთხილით, ალლოთი და გუმანით. და... „სიფრთხილეს არ ტკივა“ — მერე სუნთქვა მეტია — ბნკარში არ ჩაეგია და გარედან ანონი — „თავი, თავი არ ტკივა!“ — რომ არ იშლი ხეტიალს, დაბრუნებულ სხეულით — ამდენი ხნის ნაწოლით. გაფოფრილი ჩირგვები გზა-გზა ჩრდილებს იცვლიან და ძაღლების ღავდავი სოფელ-სოფელ გაცილებს; რომ არ გაიღარდილო ამ დროს არ შეგიძლია — ხელი არ აუქნისო ჯოჯოებს და მაცილებს. მალლა ვარსკვლავებია, შებნეული ღილებად, დაბლა საშემოდგომო მზედაკრული მოლია; ნაი-ნაიმეგზურებს მუხლი გამოცდილებას და ფეხდაფეხ აფხიზლებს მთვლემარ მელანქოლიას. სახეს ამოაკითხავს ზოგჯერ ფითრი მოძრავი, ანდა, სულაც პირიქით — თავად ფითრი ისესხებს ფერს რო შენი სახიდან — არც რო რჩები ცოცხალი, მაგრამ ეს ყველაფერი, სამწუხაროდ, ვის ესმის. მიზეზ-მიზეზ იწყენ და მიზეზ-მიზეზ ხალისობ, მიზეზ-მიზეზ ნიავიც ბებერ ფოთლებს იტაცებს; ესეც ბოლო დღეები: ხათრად შესაბრალისო, ჭარბად ამჩატებული დააბიჯებ მინაზე. იდუმალმა ხელებმა იდუმალი ნაყოფით, იდუმალი ბაღები საცდუნებლად მოხატეს; და გრიგალში გადაზღილს აყურადებ ქარყოფილს და თან ცრემლებს აგროვებ, დაცურებულს ლოყაზე. ტკივილს თუ დაგიაშვებს კურცხალ-კურცხალ გალობა — ღმერთის რამე წყალობა — მხოლოდ მაშინ აცდები: განცდის გამომჟღავნებას — ამ ზნეობრივ მთვრალობას — მჩატე უხერხულობას თავმომწონე კაცების.

ცოტა გალდა და ცოტა მითი

ბუნებით მიუსაფარი, ვრჩები, აქამდე ვრჩები. გამიღარბდა ზღაპარი და ჩამოვყარე ფრთები. ნახევრად ღია ბაგიდან ვამხელ — რაც ახლა მტკივს, რას ვიზამ — წასვლა არ მინდა და ვატყობ —

მაინც მივალ.

წინ სინანულის შუქია — მიხმობს, მეძახის თავად, ბოლომდე ვრჩები გულგია — სევდის მორჩილი ძმა ვარ. ფრინველთა გუნდურ გალობას მთების ოსანა ქვია — ნუგეში რო უწყალობა წამოტირებულ ნიავს. ბებრული მხიარულება შეფარულ ღიმილს იწვევს, — ამოხსნა კაცის ბუნება — სიბრძნე სჭირდება, სიბრძნე. და არც რო მართლა ბრძენი ვარ და არც რო გიჟი მეთქმის — ამ ორთა შორის ვმღერივარ, გულში ვმღერივარ ჩემთვის. მთა, ამოსული ნისლიდან, ჰგავს ფარშევანგის ბოლოს — უძილარ თვალებს ვისრისავ — ამას ვახერხებ მხოლოდ. მზე ჩადის. დინჯი დაისი ჩრდილებს იმოსავს როცა, გულიდან ამ დროს თავისით ამოიხედავს ლოცვა. და გატოკდება ფარულად ხელი მარჯვნიდან მარცხნივ — და ღმერთის ამ სიყვარულმა უნდა დაიხსნას კაცი. ცა, თეატრია ერთგვარი, ნისლი — მბრუნავი სცენა, ვზივარ და ვუმზერ შემკრთალი, მეტეორების ცვენას. უთქმელი იდუმალბა: თოვლი. ფანტელი. გუნდა.



და რაც ვერ იგრძნო თვალბმა — სხეულმა იგრძნოს უნდა.

სარკიდან გამოქცეული თავს უბრუნდება ქალი, გადათარგმნილი სხეულით და ჟრუანტელით მთვრალი. აწევს წამწამებს წყვილიადი — კაეშანების ტვირთი, ამ ღამეს ძღვენი მივართვი — გული ჩიტვივით მითრთის. დაცურავს სერზე გეზელი ქორის ფარფატი ჩრდილი, ხელზე დავისვი — შევძელი, დილის ნიავი გრილი. და ვაყურადებ შორიდან მღვრიე ფშანების ნანას; წყალგალმა — მწვანე მოლი და მწვანე წნორები ჩანან. ჭალა, ჭალაში გზა — შარა, ცაში — გამდგარი თქორი, აქა-იქ ტბორი ჩამშრალა, აქა-იქ ჩარჩა ტბორი. მერე და მერე ბინდები, შორს ჰორიზონტის ხაზი, კარგა ხანს გავირინდები, რო მოვიკრიბო აზრი. რო მესმის, უცხო ხმებია უცხო ჩქამი და სტვენა, რა ჭარბად გასაგებია, ამ დროს, დუმილის ენა, რო ღვიძავს ამ დროს — ქარია,

რო სძინავს ამ დროს — წყარო.

შენ — გულო — რა გიხარია?

შენ — რა განუხებს — თვალო?

რო მიაქვს ნიავს — ჩიტია, ჩირგვს რო შეყრია — რული. ცხოვრება მიამიტია — ჩვენ გვეჩვენება რთული, წვრილმანებს ჩავეძიებით და წელს ვინყვიტავთ გარჯით. იკმარე სითბო იების და კმაყოფილი დარჩი. კორჩოტების ღიმილით გაისხივოსნე სახე და ჩაიწყნარე ტკივილი ანდა — პასუხი აგე. ამოიხედე თავიდან — წელს მიაცილებს წელი — თითქმის ოთხმოცი გავიდა — დათვლა გამხდარა ძნელი. ხშირად, დალილს და დაოსილს,

თვალში მეზრდება ჩრდილი,

მთვარე მგონია ქაოსის მობოშებული ღილი. შორიდან კოცნას ვუგზავნი და ტურზე მიდევს ხელი, დედებდა ღანვზე კურცხალი ხათრად ცივი და ცხელი. მელანქოლიურ თვლემში შეიპარება ჟრჟოლა და მახსენდება მე მაშინ — სახლთან ბებერი ბჟოლა, გრძელი ტოტების ნანავით დაატარებდა ლანდებს და დღემდე შუებლალავი ეს მოგონება დამდევს. ეჰა, რა წლები წასულან — გუშინწინ იყო თითქოს, მიფიცხებული წარსულთან გალიგვულ თითებს ვითბობ. მოლები გახდა შიშველი, ავად ყრანტალებს ყვავი, დავბერდი, რაღას მიშველის, რო შეგაცოდოთ თავი. ტანზე ხორშაკი მაცვია — რამე დაფშვნილი მინა, სიზმრებს ვნახულობ თვალგია —

ღია თვალბით მძინავს.

რა ფეხაკრებით მოვიდა დღეს სინანული მისით, ნისლიდან მზე ამოვიდა — მარლას დააჩნდა სისხლი. ნამყენს კვირტები უხმება, ნაფერდებულა ღობე და წყლის ჩაქცევას მუხლებიც — კარგა ხანია გრძნობენ. ჰორიზონტისკენ მიგორავს ახლა ტალღები მთების — „იყო და არა იყო რა“ — მაინც რა იყო — ვხვდებით?! ეს წელიც გაჭაღარავდა, მეც შევიმშრალე ხვითქი, იყო — რა ცოტა ბალადა, იყო — რა ცოტა მითი. სოფელი ბინდის ბონდია — ლანდებს გვიბრუნებს წყლები, რა ჩუმად მიდი-მოდიან, რა ფოთლებივით ვწყდებით. ის, რაც გულისთვის ცრემლია, თევზისთვის არის წყალი, დაცურავს — ვერ შეეღია მარილშერეულ ამინდს.

სამყარო და ქალი

მოღრუებულ ცაზე მიბჯენილი თვალი, რასაც დღემდე ეძებდა, დღესაც იმას ეძებს; სმენას გააფაქიზებს გაჩერება წამის და მიღეულ ჩქამის გაგონებას შეძლებ. ჩქამზე ამოიზრდება საფიქრალი მისით, ნერვები რო გვიხსნის ღამეების რჩევას; მეტეორებს აშხეფებს ვარსკვლავების სისხლი და თვალბში ფერადი ნაპერწკლები რჩება. გქვია ჭირისუფალი მოტირალი ქარის, დღემუდამ რო თავის საწუხარზე გვიყვება; რჩება შეუცნობელი სამყარო და ქალი და ორთავს ვალი — მიდიხარ და მიგყვება.

ტარიელ ჭანტურია

დანყვებითი სერკანტინი

მინანარი სიკვდილზე

გაგრძელება იქნება!

ჭკვიანი რითმების ლექსიკონისთვის

საქართველოს ისტორია — საქართველოს ისტორია!

დასკვნა

გახლავთ ეს მისი გამოკვლევები საბუთი მისი გამოკვლევების!

სამსახურებრივი რომანი

მოახერხა შეფმა თავის მდივნის შებმა!

არჩევანი

მან ცხოვრება — უკარტო, უღვინო და უარყო — ამნაირი ცხოვრება იმთავითვე უარყო!

კორუმპირებული ლექსკრომტი

განაჩენი გამოიტანა! — ჯიბე ფულით გამოიტენა!

თამაღის შიქახილი

— ვსვათ ეს ღვთაებრივი სითხე წელიწადში — ათასი დღე!

ქართველი

შური როგორ ვიძიო — ეს ხომ მაინც ვიცით!

! — მთელ სამყაროს ესაუბროს თუნდაც — ღმერთს — პოლიგლოტს — არ სჭირდება გიდი!

! ეს რა ეზრა პაუნდია ან რა ანრი მატისი! — გაგაოცებთ სილამაზე მათი მინის... მათი ცის...

*** ცა — უფლის გადასახედი! სიცოცხლე — გადასახადი!

*** ...ამამღვრია დეკოლტემ... მერე უცებ წამიც და... არა, არც მიფიქრია — ხელი მისით წამიცდა...

! — ერთი კარგად დააკვირდით ჩვენი ქუჩის ორ სულელს: გაგიჟდებით, ერთმანეთი როგორ დააორსულეს!

მთავარი ლექსკრომტი

ეს ცხოვრება — ცხოვრებაა! ის — მეორე — სულეთია! ერთად ვიყოთ ოღონდაც და, სად ვიქნებით, სულერთია!

მეპალთანა ლექსკრომტი

ელაქუცა, აქო, ეპირმოთნა... — იმდენი ქნა, ბოლო-ბოლო მოთნა!



გაგრძელება

ვიდრე ამ ორს არ დაამარცხებდნენ და რესტორანს აიღებდნენ, გომბორელ აზერბაიჯანელებს არც სიმრავლე უშველიდათ და არც რამდენიმე ყოჩაღად ჩატარებული ჩხუბი.

რამდენჯერმე უკვე იყო რესტორანის აღების მცდელობა და გენერალური ბრძოლებიც გაიმართა. აზერბაიჯანელებს ორი საინტერესო, თავზეხელაღებული ბიჭი გამოუჩნდათ — სარდარა და ვალიშა. სარდარა უფრო ფინანსური ტუზი იყო, დიდი მასუთი იშოვა და ბლატაობდა, მაგრამ კაი ემშაკი ყიზილბაში იყო, პირდაპირ ხორცის საკეპში არ ყოფდა თავს, არ რისკავდა. რესტორანში თავისი მაგიდა ჰქონდა, მათ ტოლ-სწორად ეჭირა თავი და ჯერჯერობით ამით კმაყოფილდებოდა. თან ემშაკაცებოდა პაკოზას და რევაზას, თან თავის დროს ელოდებოდა. უყურებდა, რა მოხდებოდა.

ვალიშა ნაღდი მეომარი იყო. დამრტყმელი. პირდაპირ მიდიოდა. რამდენჯერმე უკვე ბრწყინვალედ ჩაატარა ბრძოლა. გომბორელ აზერბაიჯანელებს უკვე კულტად ჰყავდათ ქცეული. იყო ერთი „ვალიშ, აი, ვალიშ!..“ ვალიშამ დაარტყა, ვალიშამ ცემა, ვალიშამ დააგდო. დადიოდა ეს ვალიშა გაამაყებელი. მართლა ყოჩალი ბიჭი იყო, მაგრამ ყველაზე მაგარი ამბები ჯერ კიდევ წინ ელოდა.

და აი, ეს დღეც დადგა. გაზაფხული იყო. მაისის თბილი, მათრობელა შუადღე. ვალიშა გოდერძა ხიზანიშვილთან, მომავალ რაიონის პროკურორთან, ერთად შემოვიდა რესტორანში. ჯერ ადრე იყო. სეკას თამაშში გატარებული ღამის შემდეგ ბიჭებს ისევ ეძინათ. თითქმის ცარიელ დარბაზში მხოლოდ ორ მაგიდასთან ისხდნენ. ერთ მაგიდას გომბორის საკოლმეურნეო მინდორ-ველებიდან გამოპარული დამშეული ტრაქტორისტები მისხდომოდნენ და ილმურძლებოდნენ, მოშორებით, მეორე მაგიდასთან კი თელავიდან თბილისში მიმავალი მგზავრები ისხდნენ და აქაურ განთქმულ ხინკალს ელოდებოდნენ.

ვალიშა და გოდერძა ხიზანიშვილი რომ შემოვიდნენ, ჯინაზე ბუფეთიკი ჰუსეინ-აც გასული იყო და დახლს უკან თვითვითლათ რეზო ტაბლის დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა, რომელსაც ფშავლები „ჩიკას“ ეძახდნენ. მათი წარმოდგენით, თუ ფშაველი ბევრ ჩეჩენს და ლეკს დაკლავდა და მარჯვენას მოაჭრიდა, ვახტანგ გორგასალი, თამარ დედოფალი, გიორგი სააკაძე, ერეკლე მეფე და ამხანაგი სტალინი „ოქროს ჩიკას“ დაახვედრებდნენ — „მოდ, დაიხვენი, დალაღული ხარ ომითაო...“ პაპაჩემ გიჟ-იაკობს, მაგალითად, ეგრე დახვედნენ, როდესაც თავის ფშავეურ ვალჰალაში გადავიდა.

ჰოდა, იჯდა ეს ამხანაგი თვითვითლათ რეზო, გრძელ, მძიმე ხელებს ღამის გაპრიანებულ ფილაქანის იატაკამდე უწვდენდა და ჩუმად ფიქრობდა დაღონებული. რა აღონებდა, არავინ იცის, იქნება ცოდვებიც ანუხებდა. ცოდვები კი ერთი კაცის კვალობაზე საკმარისზე მეტი ჰქონდა...

ჯერ ერთი, სრულიად უცხოვდა, მიზანმიმართულად და საოცარი გულმოდგინებით სძარცვავდა და აზარალებდა საბჭოთა სახელმწიფოს. მატყლის დამზადებას უყურებდა და ყოველ მატყლით დატვირთულ საბარგო მანქანაზე ერთ ტომარა ქვიშას ამატებდა. ეს მარტივი ოპერაცია კი იმდენ შერისაველს აძლევდა ამ ასკილაურის ქალებში ობლობით ამოზრდილ ფშავლის ბაღს, რომ მეორე მსოფლიო ომში დაკარგული მამამისის დარგული ზღმარტლის — „ხუთკურის“ — ქვეშ ერთი „კრასნოდარსკი კრასი“ წლიური ბიუჯეტი ჰქონდა ჩამარხული. არაფერს იკლებდა, ვერც ერთი მინისტრი მასავით ვერ ცხოვრობდა. განსაკუთრებით, ჩაცმავზე ჰქონდა გართულება და ყოველთვის მაგარი გამოზმანული დადიოდა. სვანეთის უბნის ზემოთ, ლოტიკინზე, საკუთარი ფეტრისშლაპიანი ციგნის ბარიგაც ჰყავდა — ლეონსიო, რომელიც ფირმა ტანსაცმლით ამარაგებდა. მისი ნაპარნიკი პაკოზა კი, ძირითადად, ასკილის მაფიას კურირებდა და მინერებით თუ რაღაცა ოხრობით ქაღალდზე იმდენ ასკილს აბარებდა ბედრულ საბჭოთა კავშირს, მაგდენი ასკილი მთელ დედამინაზე არ ასრულებდა. ბოლოს, როცა ვილაცა ნაბოზვარმა თიანეთში გახეთქა ეს ამბავი და პაკოზასაც იჭერდნენ, ამხანაგი გამოძიებლის ლოგიკურ და სამართლიან კითხვაზე, საიდან გააჩინე ასეთი არარეალური რაოდენობის ასკილი, რაც უბრალოდ ბუნებაში არ არსებობდა, პაკოზამ კი არ დაიმორცხვა და მწარედ აქვითინებული მონანიებას და ხევენა-მუდარას არ მოჰყვა, სრულიად უტიფრად და წარბშეუხრელად მოახსენა გამოძიებელს: „რატომაც ვერ მოვაგროვებდი, ჩემს სოფელს სულაც ასკილაური ჰქვიაო...“ მოკლედ, ორივე ერთად იმდენ ფულს შოულობდა, მაგდენი თვლა მე სად ვიცი — ჩემ მათემატიკის პედაგოგს, ნარგიზა მასნს, ჩემთვის ორიანი არასოდეს დაუშურებია. რესტორანი უფრო შტაბ-ბინად ჰქონდათ, ამიტომ, შესაბამისად, არც მისი შემოსავალი ენადლეებოდათ და არც კლიენტებს ჰყვებოდნენ ზედ. თუ რაიმე მნიშვნელო-

სადაც, ის გოგო გარდაცვალა და მასთან სამი-ოთხი წლის ბიჭი დაგრჩა, რომელიც ბოლო ერთი წელია, „პრიუტი“ — უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში — იზრდებოდა. თვითვითლათ რეზოს მაშინ პირველად დაუარა ცუდმა ჟრუანტელმა და გული გაუცივდა. შეეცადა, იმ გოგოს სახე გაეხსენებინა, სხეული, მოძრაობა, რამდენ ხანს იყვნენ ერთად. მერე დაჟინებით მოჰყვა დღეებისა და ღამეების თარიღების თვლას. დიდხანს ისრესდა ღონიერი თითებით შუბლს, იხსენებდა, თითებზე ითვლიდა და ბოლოს გამოითვალა, რომ სულ ტყუილად ეიმედებოდა და მოსწონდა საკუთარი თავი, რომ სამინელი ამბები ჰქონდა ჩადენილი, ძალიან ცუდი ადამიანი იყო და ყელამდე ცოდვაში იდგა.

ბექა ქურხული



ვანი სალაპარაკო, გასარკვევი ან სუფრა ჰქონდათ, შუადღის ორი საათისთვისაც საკმაოდ უცერემონიოდ მიხურავდნენ ხოლმე კარს, თუ, რა თქმა უნდა, თელავიდან თბილისში მომავალი ერეკლე მეფე ან გორიდან თელავში „ზიმ“-ით გამოგზავრებული ამხანაგი სტალინი არ შემოუვლიდათ სტუმრად. ასეთი რამე კი არასდროს მომხდარა.

მოკლედ, იჯდა თვითვითლათ რეზო და ფიქრობდა. თუ ცოდვებზე ფიქრობდა, პირველ ცოდვაზე — დიადი საბჭოეთის ძარცვაზე ფიქრით თავი აეტკიებინა და სინდისის ქენჯნას გაეტანჯა, მომკალით და არა მჯერა. უფრო მეორე ცოდვა უნდა ყოფილიყო. რა და — თუ პაკოზას, როგორც ჩვენი მაღალმხატვრულად ამეტყველებული მასმედია იტყვოდა, „ოდენ“ სამი ცოლი ჰყავდა, თვითვითლათ რეზო ცოლებს ათეულობით ითვლიდა. თანაც იმ სტერეოტიპებსაც არღვევდა, რომ ქართველი კაცები რუსის ქალებზე გიჟდებოდნენ და რატომღაც ეშხიან აზერბაიჯანელ გოგოებზე იყო გადარეული. ხან სადათვე კარტჩრით გატენილი ორლულიანი სანადირო თოფი დაახლეს აზერბაიჯანელებზე, ხან უჯარმის მოსახვევთან დახვედნენ ფინლებით, ცელებით და ჯაჭვებით, მაგრამ ვერ იქნა და, „გლახის ნაამბობის“ გაბრიელისა არ იყოს, ეგ ცუდი ზნე ვერ მოაშლევინეს. აურაცხელი აზერბაიჯანელი და ქართველი ცოლი ჰყავდა. ეგ კი იყო, ციგან ლეონსიოს ნაჩუქარ შავ ბუნდ „ბრაუნინგს“ აღარასოდეს იმორებდა და ამ „ბრაუნინგსაც“ უჯარმეიდ მოყვლებული რამდენჯერმე შეუნარჩუნა სიცოცხლე.

რეზო გახუტელაშვილს კახანოვობა ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ძალიან უცნაურად და მოულოდნელად დამითარდა — ერთ მშვენიერ დღეს ვილაცტიპი მოადგა: „რუსთავში რომ ცოლი გყავ-

და, ის გოგო გარდაცვალა და მასთან სამი-ოთხი წლის ბიჭი დაგრჩა, რომელიც ბოლო ერთი წელია, „პრიუტი“ — უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში — იზრდებოდა. თვითვითლათ რეზოს მაშინ პირველად დაუარა ცუდმა ჟრუანტელმა და გული გაუცივდა. შეეცადა, იმ გოგოს სახე გაეხსენებინა, სხეული, მოძრაობა, რამდენ ხანს იყვნენ ერთად. მერე დაჟინებით მოჰყვა დღეებისა და ღამეების თარიღების თვლას. დიდხანს ისრესდა ღონიერი თითებით შუბლს, იხსენებდა, თითებზე ითვლიდა და ბოლოს გამოითვალა, რომ სულ ტყუილად ეიმედებოდა და მოსწონდა საკუთარი თავი, რომ სამინელი ამბები ჰქონდა ჩადენილი, ძალიან ცუდი ადამიანი იყო და ყელამდე ცოდვაში იდგა.

აქამდე ამაზე არასდროს უფიქრია. უბრალოდ, არ უფიქრია. ახლა კი უცებ



მიხვდა, რომ მისი ადგილი ჯოჯოხეთში იყო. ფშავერ ჯოჯოხეთში, სადაც „ტრელები“ იხრუკებოდნენ და ისე, ქრისტიანულ ჯოჯოხეთშიც, სადაც ლუციფერი დიდი სამკაპით დარაჯობდა ცოდვილთა დაკლავილი სულელებით ამოვსებულ, ლურჯი ალით განათებულ გეინას. მიხვდა და შეძრწუნდა. უცებ ნამოხტა და რესტორნის კაბინეტში შევარდა, სადაც პაკოზა ციგროშვილ ვახტანგასთან სეკაში დიდ ფულს აგებდა და ამის გამო სულს სიღრმემდე იყო აღშფოთებული და შეურაცხყოფილი.

— დაინებე მაგას თავი, ახლავე რუსთავში უნდა წავიდეთ... — უთხრა რეზომ.

პაკოზამ გაავეებით გამოხედა, მაგრამ რეზოს სახე რომ დაინახა, იქვე დაყარა კარტი.

— ნაილე ეგ ფული და ნაი, — უთხრა ციგროშვილ ვახტანგს, — ოღონდ იცოდე, რომ მოვბრუნდები რუსთავიდან, ამოვივლი. სახლიდან არ გახვიდე, კიდევ უნდა ვითამაშოთ.

თვითვითლანთ რეზო და პაკოზა პაკოზას თეთრ „ვოლგა-21“-ში ჩასხდნენ, რომელიც რუსებმა გერმანულ „ოპელს“ მოპარეს, „ოპელს“ კაბინეტის“ მიხედვით გააკეთეს, უფრო სწორად, გააფუჭეს, და რუსთავში დაანგნენ.

იმან, ვინც რეზოს ეს ამბავი ჩამოუტანა, მარტო ის იცოდა, რომ ბავშვს ბესო ერქვა და სამი წლის იყო, მაგრამ ეგრევე იპოვე ბუნდ „ბრაუნინგს“ აღარასოდეს აღმოჩნდა. მოუვლელი დაუბანელი ბავშვებით სავსე დარბაზში შეიყვანეს თუ არა, ეგრევე იცნო თავისი შვილი, ადგილზე გაშეშდა და მეორედ დაუარა ციგმა ჟრუანტელმა. საბჭოთა პლასტმასის სათამაშოებით სავსე რუსული იაფფასიანი ბორშის სუნიტ გაუშვლელი დადარბაზში შეყრილი ბავშვებში ეგრევე გამოარჩია ქერა, სხელებით მოუ-

ვლელი, საშინლად გამხდარი, დაუბანელი სამი წლის ბიჭი, რომელიც დიდი, ღამაზი, ნამტირალევი თვალებით დაფეთებული იყურებოდა აქეთ-იქით და საოცრად, გადახატულივით, ჰგავდა მას, დენდევით გამოწყობილ, მდიდარ, ღამაზ და ბედნიერ რეზო გახუტელაშვილს. იდგა ეგრე და მონუსხულივით უყურებდა ამ ერთ ციდა, განხიკინებულ ბიჭს, საკუთარ ორეულს და ასლს, ამ აქოთებულ „პრიუტი“ ჩარჩენილ საკუთარ სისხლსა და ხორცს. პირველი პაკოზა მოვიდა გონს — ფრთხილად გაიარა ბავშვებში, ქერა ბიჭი ხელში აიტაცა და სახეში დაკვირვებით ჩახედა.

— ეგ არი! — გამოხედა გახევებულ რევაზას, — თქვენია, თვითვითლათი.

ქერა ბიჭმა უცებ ტირილი დაიწყო ჩუმიად. სანწყლად ტიროდა. ცრემლები გამხდარ, ჭუჭყისგან გაშავებულ ლოყაზე ჩამოსდიოდა და სველ კვალს ტოვებდა.

— ჩუ, ძია, ჩუ, — რეზომ პაკოზას ხმა ვერ იცნო, — აბა, ტირილი როგორ შეიძლება, ძიას კაცო, მაგარი ბიჭი უნდა გაიზარდო შენა, თქვენ ისეთი აფთარი ჯიბი გაქვთ, თქვენ ტირილი ვის გაუგონავ!.. ჩუ, ძიო, ჩუ... ხო არავინ ვალონებსა, ძიო, გვითხარ და მე და მამაშენი სრუ გადავსდგავთ ამ რუსთავს, დავანგრავთ აქაობასა, არე-მარეს გავასწორებთ, ოღონდ შენ კი აღარ იტირო!.. — ეჩურჩულებოდა პაკოზა ხელში აყვანილ ქერა ბიჭს, გარს შემოჯარული ბავშვებიდან თავის დაღწევას ცდილობდა და ველარც გრძნობდა, თვითონ ამ ბაღლზე სანყალი ხმა რომ გახდომოდა.

„მამაშენი“ და აქ მესამედ დაუარა ცუდად რევაზას და გული ისე შეეკუმშა, ტკივილისგან კინაღამ შეჰყვირა. ეგრევე შემობრუნდა და თავშესაფრის დირექტორის კაბინეტში დაუკაკუნებლად შევიდა. უკან პაკოზა მიჰყვებოდა და რევაზას შვილი ისე ჩაებლუჯა უზარმაზარი ტორებით, თითქოს ეშინია, არავინ წაართვასო და გამწარებული ბუტბუტებდა.

— ჩუ, ძიო, ჩუ. არ იტირო, ნულა იტირებ, კარგი დანყნარდი, ძიო, როგორ შეიძლება კაცის ტირილი, ნავიყვანო, ეხლავ ნავიყვანო, აღარ დაგარჩენო აქა, აღარა... — და ვერც ამჩნევდა, რომ ბავშვი კაი ხანია, გაჩუმებული იყო და გაკვირებული ინტერესით უყურებდა ამ ორ დამთხვეულს. ხან ერთს შეხედავდა დაკვირვებული სუფთა თვალებით, ხან — მეორეს.

თვითვითლათ რეზომ იქვე გააფორმა ყველა დოკუმენტი, მერე გულის ჯიბიდან ათასი მანეთი, წითელი თუმნიანებით ამოჭედილი, დაბეჭდილი შეკვრა დაუდო დირექტორს მაგიდაზე, უხმოდ ადგა და უჩუმრად გამოვიდა კაბინეტიდან. პაკოზა შემობრუნდა.

— ყველაფერი შენ კი არ ჩაინთქა-ჩახეთქო, ცოტა რამ ბაღლესაც არგუნე, რას გიგვანან, ფაშისტები ხართა?.. თორო მოვბრუნდებით და დედას გიტირებთ, სუცხვირში ძმრად გადვინდენ, შე ქოსმენო.

რევაზას მთელი გზა გულზე მიხუტებული მოჰყავდა თავისი ნაპოვნი ბიჭი-ბესიკა. ბავშვი გადიდებული თვალებით ათვლიერებდა მანქანას და ყველაფერს ხელს კიდებდა. გახარებული რევაზა და პაკოზა ბავშვის ყველა მოძრაობას ხორხოციით ხვდებოდნენ. ბესო მათზე გაცილებით სერიოზულად იქცეოდა, ბოლოს ჩაეძინა და რეზოს განძრევისა ეშინოდა, არ გაეღვიძოსო.

ამის შემდეგ მისი ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვალა. პირველ რიგში, სახლები იყიდა. ცემბორში, ცენტრში, ყველაზე დიდი და ღამაზი სახლი. თბილისში ახლადამშენებულ მესამე მასივში — ვარკეთილში. უჯარმაში ახალი სახინკლე გახსნა და ვილაცებს ამუშავებდა. ახლადნაყიდ სახლში დაქვრივებული ღარიბი, შუა ხნის ბიჭის მამიკა და მამიკის ბავშვები მოსავლელად, სკოლაში წაიყვანა თუ არა, საუკეთესო მასწავლებლები აუყვანა. ქართულს დათიკო იოსელიანი ასწავლიდა, მათემატიკას, ჭადრაქსა და რუსულს — ვაისმანი, ისტორიას — ხარიტონ კილაონია. დაჰყავდა კრივერ, ცურვაზე. მე-11 კლასშივე უყიდა მანქანაც და, ბესოს დაჟინებული თხოვნით, მოტოციკლეტიც. დააქროლებდა გომბორის მიხვეულ მოხვეულ გზებზე გრუხუნით. ზაფხულობით, როცა არდადეგებზე გომბორში ვიყავი, მეც უკან ვყავდი მიკრული, ჩემზე ოთხი წლით იყო უფროსი. ჯემალა და რევაზა რესტორნის ავიანიდან შიშისგან გაფითრე-



გაგრძელება

ჩამოვუხვიე და ეგრევე დავინახე. თითქოს ჩვეულებრივი გოგო იყო. ჩვეულებრივი ჩემხელა გოგო, მაგრამ ჩემი გვარის დამაარსებელმა, ტბიდან ამომხეულილებულმა ალმა, ეგრევე ჩამომიფრინა გონებში და გამაფრთხილა, ცუდ ამბავს გადაეყარე.

მანქანა გავაჩერე. მონუსხულივით ვუყურებდი. რაღაც სხვანაირი გოგო იყო. არა, თბილისელი არა... და არც რუსი!

სპილენძისფერი, უცნაურად გლუვი, თითქმის გამჭვირვალე კანი ჰქონდა. ყორნის ბოლოსავით შავი ბურბურა თმა, მალა-ლი ყვირილები, მსხვილი შინდისფერი დახეტილი ტუჩები და ცერად აჭრილი ღია თაფლისფერი თვალები, რომელიც დროდადრო ეცვლებოდა და უმუქდებოდა. თეთრი, ქათქათა მოკლე გაფრიალებული კაბა ეცვა და სპილენძისფერი სხეული ამ თეთრ მოკლე კაბაში თითქოს არ ეტეოდა. ერთი უბედურება იყო, გოგო კი არა.

ვიდექი დაქოქილი მანქანით შუა გზაზე. ვუყურებდი. თვითონაც პირდაპირ მიყურებდა ჩანულ ღია ფანჯარაში. ეცვლებოდა თვალის ფერი. არა, რა ჩვენი თბილისელი ჩურჩუტი გოგოები თავისი შტერული დგომით და „დედააა“-თი და რის ახალთექური ფაშატებით აჭიხინებულნი რუსის ნაშები...

ვუყურებდი ეგრე მოჯადოებულნი. მიყურებდა თვითონაც მშვიდად, მშვიდად... მშვიდად და ინტერესით.

— ვი დავნო ზღეს? — ძლივს მოვაბრუნე ორიოდ რუსული სიტყვა, ისე ვიყავი დაფეთებული.

— მე აქაური ვარ, გამობრელი! — მითხრა მოულოდნელად ქართულად, ოღონდ მაგარი რუსული აქცენტით...

— მართლა?.. აქ ცხოვრობ?.. — ძლივს ამოვლერლე გაოგნებულმა.

— არა, მოსკოვში. მამა მყავს აქაური და ყოველ ზაფხულს ჩამოვდივართ. მამა არ მოდიოდა. მარტო წელს ჩამოვიდა, — და გოგომ მოულოდნელად გაიღიმა და მსხვილი თეთრი, მტაცებლის კრიალა კბილები გამოაჩინა. რაღაც უცნაური აქცენტით ლაპარაკობდა. მარტო მოსკოვური ინტონაციებით არ ისმოდა.

ვახ!.. აქამდე რატომ არ მინახავს? საიდან გაჩნდა? იდგა ასე თეთრი კაბით საკუთარი ჭიშკრის წინ და მიყურებდა მანქანაში თავისი ცერად ანთებული თვალებით. მიყურებდა.

— ამ საღამოს კინოში წამოხვალ? გამოვიცი! — პირდაპირ საქმეზე გადავედი, რომ რაიმე სისულელე არ დამეხეტქებინა.

— კი, რატომ არა? — მიპასუხა მშვიდად. თან თავის აჭრილ უცნაური შუქით სავსე თვალს მგ სახეში მანათებდა.

ვიგრძენი, როგორ წამომანათა და საკუთარ ბედნიერებას ვერ დაუფურცე.

— გამოვიცი! — როგორც იქნა, მოვახერხე ხმის ამოდება, თუმცა, როგორც ყოველთვის, როცა დაძაბული ვარ, ძალიან ქედმაღლურად და ბრიყვულად გამომივიდა.

უხერხულობისაგან, უცებ, მთელი სისწრაფით მოვწყვიტე მანქანა და მოსახვევში ისეთი შემოვხაზე, კინაღამ იქვე, იმ გოგოს თვალწინ, ამოვიყრავი და სახურავზე გავცურდი. როგორც იქნა, გავასწორე საჭე და კაი ხანს სრულიად უაზროდ დავკეროდი სოფელში მარტოდმარტო. ჩემი ბიჭებიც აღარ მომიკითხავს.

მასხენდებოდა ის გოგო, რომლის სახელის კითხვაც კი ვერ მოვახერხე მე არიფმა და გული ბაგა-ბუგს მიწყებდა. ამავე დროს, ამ სიხარულთან და ბედნიერებასთან ერთად, მოფრინებოდა ჩემი ბებიის ბების ბებია — აღი თავისი ალქაჯური ფრთების წულით და ჩუმად ჩამჩურჩულებდა, რომ ეს ყველაფერი მირაჟი, მოჩვენება და ილუზია იყო. ძალიან საშიში ზმანება, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვიდოდა და ფრთხილად ვყოფილიყავი. რამდენჯერმე ისიც კი გავიფიქრე, ხომ არ მომიჩვენა-მეთქი... არა, გოგო კი არა, მთლად მასეც არ გამიფრენია. ასე უცნაურად და ადვილად რომ დამთანხმდა კინოში წამოსვლაზე... მაგრამ როგორ უნდა მომიჩვენებოდა, როცა ჯერ კიდევ ყურში მედგა მისი უცნაური, გამოუცნობი აქცენტით ნათქვამი სიტყვები: „კი, რატომ არა.“ თუმცა ცუდი წინათგრძნობა მაინც

არ მტოვებდა, რაღაც ვერ იყო ისე...

საღამომდე ვერ მოვითმინე და კიდევ რამდენჯერმე ჩამოვუხვიე მის ქუჩაზე. აშკარად წერას ვყავდი ატანილი.

ისე ჩამოვიქროლე, აღარც მამაჩემი ჯემალა გამხსენებია, არც მისი დაგინება და აღარც უროთი დამტვრეული მანქანა მენაღვლებოდა. მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი. ჩემგან ავარდნილ მტერის ბუღმი დავინახე, ისევე ჭიშკართან ტრიალებდა. ის თეთრი კაბა გაუხდია, გამოუცვლია, ახლა ჯინსის შარვალი, ბოტასები და ჩვეულებრივი მაიკა ეცვა და რომ დავინახე, ისე შემიტოვდა გული, მიმფრინავ მანქანაზე და შევექანდი. ამ ჯინსებში და ბოტასებში კიდევ უფრო საყვარელი და ახლობელი იყო. ახალმოყვანილ ცოლს რომ გაეპრანჭები, ისე ჩამოვუქროლე. ამჯერად დამინახა თუ არა, ეზოში შევარდა, მაგრამ სანამ ავარდნილ მტვერს ჭიშკარს მიუხურავდა, მაინც დავინახე, როგორ გაკრთა მისი სახე და უძირო, ფერნაცვალი, ირიბი თვალები და როგორ გამომავოლა მხერა.



უუუუ, რა მაგარი ბიჭი ვიყავი, ტოოო! ჩვეულებრივი თბილისელი გოგოები და რუსის ნაშები კი არა, ეს ყარაიის ტრამალებიდან შემოხეტებული პანტიერაც კი ჭიშკართან ელოდებოდა და თვალს მაყოლებდა. ვინ არა, საიდან გაჩნდა?.. ისევე დამავიწყდა, სახელი რომ მეკითხა. ძალიან ავარდნილი და გადარეული ვიყავი. არადა იქვე მტვერში რომ დამეხურებოდა და შემომბზვრიალებინა მანქანა, მომეცურებინა, ბოლომდე გაჩერებასაც არ ვაცდელი, ისე ვამდოვებოდი, გამოვიდოდი მტერიდან გრძელი ნაბიჯით, მივუახლოვდებოდი და უბრალოდ ვკითხავდი: „რა გქვია, ეი?“ შემომხედებოდა და... ვერ მოვახერხე. ვერ მოვახერხე კი არა, ვერ მოვიფიქრე, თორემ ძალიან კარგადაც მოვახერხებდი, ჩემი გიჟი თავისა რომ ვიცდი!.. მოკლედ, ძალიან დღემი ვიყავი. მერე ამ ბოტასებმა, გრძელმა ფეხებმა, ჯინსებმა და ამ ჯინსებზე ზემოდან გადმოშვებულმა უბრალო გახუნებულმა მაიკამ ხომ სულ ბოლო მომიღო.

აღმოსავლური ზღაპრები უცნაურად მთავრდება. რაც ახლა, ანმყოში, ხდება, ის, რაც მეცხრე ცას, მიწისქვეშეთს, ჯინებისა და ჰიფრითების მიერ აშლილ მტვერს, ნისლს და ბინდ-ბუნდს ეფარება, ამის ახსნა, ამ ყველაფრის გასაღები მიღმიერ სამყაროსა და კოსმოსს უფრო მისტიკურ ადგილას იმალება — წარსულში.

წარსული ძალიან სახიფათო და საშიში რამეა. წარსული ჰქვია და არსად მიდის. პირიქით. იქნება, ანმყოზე წინაც დაგვიხვეს, უფრო სწრაფადაც მოგიჭრას გზა და გიყვლოს.

თუ დაკვირვებულხართ, როგორ უცებ სრულიად მოულოდნელად ინათებს თავში 15, 20 ან უფრო მეტი წლის წინანდელი ამბები თანაც სრულიად შეუსაბამო და მოულოდნელად ადგილას. ვთქვით, მწერალთა სახლში ზინარ და გამომსვლელს უსმენ. ამ დროს არც აციებს, არც აცხლებს და თავში 1995 წლის ახალი წლის წინა დღეები გეჩითება, 22 წლის წინანდელი დეკემბრის ბნელი ღამე, ელზას ბორდელი,

სადაც ვილაც აჩეხილი ტიპები დაგხვდნენ, რომლებიც ჯოკერს თამაშობდნენ ელზას პუტანკებზე, რომელს რომელი შეხვდებოდა. პუტანკები გაფაციცებით უყურებდნენ თამაშს და ვინც ევასებოდათ, იმ ბიჭებს გულშემატკივრობდნენ. იყო ცინკები, ყვირილი, გინება და სკამების აყირავება. ერთ-ერთ მოთამაშეს ცერა თითი არ ჰქონდა. საჩვენებელი თითიც გამოვიდა, ნეკაც, ხუთივე წასლეკილი თითიც მინახავს, მარა ცერა თითი რას უნდა გააყოლო, როგორ უნდა მოგაჭრან? ეს ტიპები კი დავძარი ადგილიდან დანის ტრიალის შემდეგ, სულ მუქარით და ვილაც განაბების სახელების სხეულებში წავიდნენ, მაგრამ აქ, ახლა, საიდან? რატომ? ამდენი წელია, არ გამხსენებია და რატომ აქ, მწერალთა სახლში? კი, ეგ ამბავი ერთ ადრინდელ მოთხრობაშიცაა აღწერილი, რატომაც ერთი ხუთჯერ მაინც დაბეჭდეს იმ 90-იან წლებში „დილის გაზეთიდან“ დანყებულ „არილითა“ და „ჩვენი მწერლობით“ დამთავრებული. პატიოსნად ვაფრთხილებდი, დაბეჭდილია-მეთქი და მაინც მიჰქინდათ. „წინანდელი

დასასრულისას. საღამოსკენ, როდესაც მზე გადასდებოდა, მაგარი შეყვარებული და გვარიანად მოშიებული მივადექი რესტორანს და კაბინეტში შევევარი, სადაც მამაჩემი, ლექსო და ჩვენი მეგულებოდნენ. ჩემს გამოჩენაზე ჩვეული ყიჟინის მაგივრად სამარისებული სიჩუმე დამხვდა. მაგიდის თავში ჯემალა იჯდა და აშკარად შემცბარი მიყურებდა. პაკოზა, თვირთვილათ რეზო, პაკოზას დისშვილი და ჩვენი ნათესავი ზვიადა გახუტულაშვილი დუმდნენ. ლექსოც კი ისეთი შემფოთებული მიყურებდა, მივხვდი, რომ რაღაცა მოხდა და ეს რაღაც თუ მთლად მე არ ჩავიდინე, ყოველ შემთხვევაში, თავიდან ბოლომდე მე მეხებოდა.

— სად დადიხარ?.. რას დააფრიალებ ამ მანქანას? — მკითხა მამაჩემმა მკაცრად.

პირველი გაკვირვება ეგ იყო. კი, როგორ არ მერხუბებოდა, მაგრამაც გვიჩხუბია, მაგრამ ახლა რაღაც უცნაურად სერიოზული და მკაცრი იყო. მკაცრი და შეუვალი.

— რავი... — გავუცინე სულელურად. ისიც კი არ უკითხავს ჩვეულებსამებრ, ხომ არ მშია და არც იმაზე აბუზღუნებულა, მთელი დღეები მშვიერი რომ დავდივარ, საშინლად გამხდარი ვარ და თან კიდევ სიგარეტს ვენევი. არც ის უთქვამს, დაჯექი, ახლავე წამოე და არც ჩემი შექმული ხინკლების თვლა დაუნყია. შემფოთებული ყურადღებით მიყურებდა.

ამკარად ლეღავდა. ძალიან დავიბენი... ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ჩემი ბიძებიც, პაკოზა და თვირთვილათ რეზო, იმის მაგივრად რომ გამომსარჩლებოდნენ, ყველაფერი შაყრში გადაეტანათ და ისეთი ფშავური სკაბრეზული ხუმრობები გამოემუშათ, რომ დომ მოდესტ გორანფლო, ფალსტაფი და გარგანტუა და პანტაგრუელიც კი განითლებოდნენ და ყურები მოაჭკნებოდათ, ჩუმად თავჩალუნულები ისხდნენ და არც მე მიყურებდნენ და ვერც ერთმანეთს უსწორებდნენ თვალს.

— ვინ გოგო დაპატიჟე დღეს კინოში? — მკითხა დაძაბული სიჩუმის მერე ჯემალამ.

— ძალიან მაგარი გოგოა, — გამოეცოცხლდი მე და სასწრაფოდ ავყებდდი, — ნითელ ქუჩაზე ვნახე, ეგეთი გოგო არ მინახავს. მოდი კინოში და გაჩვენებ... ამ საღამოს უნდა ვნახო, კინოში მიმყავს...

— ვერაფერსაც ვერ ნახავ და ვერავინაც ვერ მიგყავს! — იღრიალა სრულიად მოულოდნელად და ისე დაჰკრა გაშლილი ხელისგული მაგიდას, ტკივილისგან მარცხხეი თვალის მოეხუჭა, მალა ამხტარი ღვინის თლილი ჭიქა კი თვირთვილათ რეზომ ჰაერში დაიჭირა.

— არ შეიძლება! — თქვა პაკოზამ და, როგორც იქნა, ერთმანეთს თვალებში შეხედეს.

რეზომ ჰაერში დაჭერილი ჭიქა მაგიდაზე დადგა და პაკოზას თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მამაჩემი კი პირდაპირ მე მიყურებდა, ჭარხალივით ანითლებული და, როგორც ყოველთვის, როცა ბრაზდებოდა, ჩვენი საგვარეულო დიდ-პატარა თვალები ერეოდა, პატარა თვალი გასდიდებოდა, დიდი კი დავინროვებოდა.

ძალიან დავიბენი. არა, ჯემალასი არც ყვირილი გამკვირვებია, არც ჩხუბი. რომ ბრაზდებოდა, გიყვარდეს, ვაზების სროლაც ეხალისებოდა და ყველაფერი, ერთი ეგ იყო, ისე გარდაიცვალა, არც ჩემთვის, არც ჩემი ძმებისთვის თითიც არ დაუღია. თან ვერ მივხვდი, რა დაგამავნე, რას მემართლებოდა. აშკარად ძალიან უღელავდა. პაკოზა და თვირთვილათ რეზო უცნაურად დუმდნენ...

— აღარ მიხვიდე მანდა, ნულა მიხვალ! — მითხრა პაკოზამ, თან წარბებქვეშიდან დამნაშავესავით მიყურებდა და თავისი უზარმაზარი ციროთი დამბალ ხაჭოს, ხაჭო ერბოიან ჯამთან დადებულ ფშაურ ხშიადსა ფშენდა.

— რატომ? — ვაახ! — ისე იღრიალა ისე მამაჩემმა, რომ ყველა შევხვითი, — არა და მორჩა! არ გესმის, რომ გეუბნებიან?

ვიდექი ასე გაოგნებული და გაკვირვებული ვუყურებდი მამაჩემს. ვერაფრით მივხვდი, რა ხდებოდა. მთვრალეები ამკარად არ იყვნენ, არც თვრებოდნენ ისე, რომ რაღაცა აერიათ. მე არ მახსოვს. მათგან ყველაზე უმცროსს, ზვიადა გახუტულაშვილს შევხვდი, მაგრამ იმანაც თავი ჩალუ-

დასასრული თავად იტყვის თავის



ნა და თვალი ამარიდა.
 — ნულა მიხვალ იქა, არ გინდა, არ შეიძლება, — გამიმეორა ისევ პაკოზამ, — აგე, რამდენი გოგოა, იქ კი ნულა მიბრუნდები, დაივინყე ეგ გოგო, არ გინდა, არ შეიძლება, არ გამოვინა ლამაზი... — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ მელაპარაკებოდა, თან ისევ ხმად და ფშვნიდა ნერვიულად და დამბალ ხატოვან ჯამს ჩაჰყურებდა.

მართლა გავოგნდი. ვერაფერს ვხვდებოდი. ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ მცდინა, ხო არ მამასხარავებენ-მეთქი. ფშვლები, როგორც მოგახსენეთ, მასეთი ოინების დიდოსტატები არიან, მე კი არა, ნილკანის ეპისკოპოსს აიგდებდნენ და ერეკლე მეფის უსაყვარლეს ქალიშვილს, თეკლე ბატონიშვილს, მოფერებით „ბოგუნს“ ეძახდნენ, თვალს აყოლებდნენ და ალექსებდნენ: „ღვინოს გვირიგებს ბოგუნი, შამეჯინჭრება მე გულიო“, მაგრამ მართლა ძალიან დაძაბულები იყვნენ. ამკარად რალაც ხდებოდა. „გავჰკვირდი, ე“ — როგორც ფშვლები იტყოდნენ. ახალგაზრდა ვიყავი, 16 წლის და ჯერ კიდევ მქონდა გოცებისა და გოგნების უნარი და კიდევ კარგა ხანს გამყვანა ეს ინფანტილური თვისება. მხოლოდ წლების შემდეგ მივხვდი, რომ რაიმეთი გაკვირვება და, მით უმეტეს, ამის გამოხატვა, სრულიად დაუშვებელი ფუფუნება იყო. მხოლოდ ახლა გავაცნობიერე, რომ გაკვირვება ისეთივე აბსურდული შეგრძნებაა, როგორც ტირანისგან მონიჭებული თავისუფლება, პაციფისტი მკვლელი, პატიოსანი პოლიტიკოსი, ვეგეტარიანელი კანიალი, ფანატიკოსი ლიბერალი, მამაცი და თავზეხელაღებული ქართველი ჩვენს დროში და მარტოსული, ეული და ქვეითი კენტავრი!


ახლა კი ვიდექი გაოგნებული და ვერაფერს, ვერაფერს ვხვდებოდი. თან ვიგრძენი, მეც როგორ ამასხა სისხლმა სახეში და როგორ დავიტენე კაი გემრიელი დენითვით სიბრაზით.

— რა ხდება, ე?... რა გინდათ? — ვიკითხე სიბრაზისგან და უსამართლობისგან სადღაც ნასული დაგუღული ხმით.

— ვაახ! — იღრიალა ისევ მამაჩემმა, თან ისე იყო გაცოფებული, სიტყვებს თავს ველარ უყრიდა, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, — არ გესმის ხომ, რას გეუბნები?... ვერ იგებ, ამდენი ხალხი რას გელაპარაკებთ, თუ ფეხებზე გვიკიდებ?... ვერსად ვერ ნახვალ და ვერავის ვერ შეხვდები! მომეცი აქ მანქანის გასაღები...

— მოიცათ, მოიცათ!.. — თვითვითლათ რეზომ ჯემალას მაჯა დაუჭირა, რომ ისევ მაგიდისთვის არ ეთხლიშა, — აუხსენით ამ კაცს, რა ხდება. არ შეიძლება, რომ ეუბნებით, რატომ, იმას კი არ ეტყვიან, რა არ შეიძლება და რატომ? ან მანქანას რომ ართმევ, სხვა მანქანას ველარ ნახავს თუ ფეხით ვერ მიადგება? მოდი, ძოო, მოდი! რას დაჰყვირიხარ ამ ბაღსა. მოდი, მე გიამბობ, რაც მოხდა და რატომ არ შეიძლება იმ გოგოსთან შეხვედრა და კინოში წაყვანა.

დასასრული შედეგ ნოქარი



ორნი იყვნენ ერთ ქალაქში. ერთი, უფროსი, ქალაქის სიამაყე და თვალისწინი, ყოვლად დაფასებული და პატივიანი. მეორე, უმცროსი.

უფროსი ბარე ნახევარი საუკუნით დიდი იყო უმცროსზე. არც ნათესავეები იყვნენ, არც არაფერი. ერთ ქალაქში დაიბადნენ და ერთი ქალაქის მრეველი ერგოთ. უფროსი რომ თავის ვარსკვლავებს წყვეტდა და იმის გვირგვინებით შუბლს იმკობდა, უმცროსის მშობლები ახალნაშრომულ სიყვარულს ასეირნებდნენ მაშინ ოლეანდრების ბაღში.

უმცროსის დაბადება იმ წელიწადს დაემთხვა, როცა დევნილთა დიდმა ნაკადმა უფროსის ძველი ციტადელი შტურმით აილო და ზღვისსუნიანი ჯოჯოხეთი შეასახლა მიგ. ჯოჯოხეთი იყო, აბა, რა იყო — წარსულს რომ კიდურით მოგაჭრიან და ჭრილობას ბინძური ჩვრებით გადაგიხვევენ, პირზე ხელს რომ ავაფარებენ — არ იტირო, ბავშვებს შეეშინდებათო, სიკვდილი რომ გინდა და მაგის უფლება არ გაქვს — ყველა ადგილი დაკავებულია უცხო ქალაქის სასაფლაოზე, ჯობს, ისევ ზეზეურად ჩამოხმე და გაქრე, როგორც ნალვლიანი ფანტომი.

უფროსმა — როგორც ჩემი ხალხი იტანჯება, მეც ისეო და — ერთ ნალიისხელა ქოხში შეტენა თავისი მოელვარე სამყარო. იქიდან აცხოვდა მაღალ-მაღალ ლექსებს, ადამიანებს გულზე მალამოდ რომ ედებოდათ და რალაც დიდის, ძველის და მნიშვნელოვანის ხსოვნას უღვივებდათ.

უმცროსი პირველად ქართულის მანავლებელმა აღმოაჩინა. ის ხიჭვი, გულში ლექსად დაწერილმა მისმა საშინაო დავალებამ რომ უჩხვლიტა, მანამდე არასდროს უგრძენია. გვიან ლამემდე ატარა ხიჭვი გულში და მარტო გამთენიას უცნაურად გათანგულმა და დაპატარავებულმა ფანჯრის გადაღმა მთებში ჩამტვრეულ მთვარეს რომ გახედა, მაშინლა გამოიძრო ლაქადაქერცლილი ფრჩხილით. თან შევებით ამოიკვნესა — „ვიც არის ის, ვინც აგვიხელს თვალს საკუთარ თავზე?..“

მერე უმცროსის მეორედ დაბადება მოხდა. კენჭი რომ დააგორო თოვლიანი მთიდან და გზადაგზა ზვავი აკრიფოს, ისე დაიძრა ქალაქში მისი სახელი. ქალაქიც რა — ყველაფერი ნანახი ჰქონდათ და ყველაფერიც გადატანილი, მაგრამ, თითო ხელი გამოსასვლელი ტანისამოსივით, ვილატებს მაინც ძალიან უფროხილდებოდნენ.

უფროსის ყურამდე მიღწეა უმცროსის ამბავმა. დაინტერესდა, ნაიკითხა. გამაცანითო, ქოხიდან მრევლს გამოსძახა.

უმცროსი არ მივიდა მის გასაცნობად. ისედაც იცნობდა. ვის, ვის და, ქალაქში უფროსს ისედაც ხომ ყველა იცნობდა!..

უფროსმა ერთი-ორგან უმცროსის საქებარი სიტყვები დააფრქვია. იცოდა, მივიდოდა იმის ყურამდე. მაინც არ გაეცნო უმცროსი, არც მიზეზი უთქვამს.


სხვა ქალაქებიდან სტუმრები რომ მოდიოდნენ, უკვე უმცროსი გაყავდათ საჩვენებლად, კამკამა ბავშვურ შუბლზე ფრთხილად გადაუსვამდნენ ხელს, იღებდნენ გულწრფელ მილოცვებს და გოცებებს. უფროსი ამ დროს თავის ქოხში იჯდა და თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით — რა მიზეზია, წუთისოფელი ასეთი ცრუ რომ არისო?

უმცროსი უკვე მყარად დგამდა ნაბიჯებს. უკან ჯგროდ მისდევდნენ თავისივე ტოლები და ისიც მოუტირალდებოდა, ჩაუხატავდა ხოლმე კრძალვით გამოწვდილ რვეულებში და ბლოკნოტებში თავის ლამაზ ინიციალებს. ცოტაოდენი სუსხითაც შეიხვევდა ხოლმე თავს — ამ ყველაფერს ძალიან რომ არ გაშინაურებოდა და სულერთი არ გამხდარიყო. სუსხი ამანძილებდა მოლოდინს და მოსალოდნელს, განცდილი და მოსახდენს და ეს ძალიან კარგი იყო.

ზოგი ამბობდა, ამპარტავანიაო. მაინც მიინევდნენ მისკენ. ამპარტავანებისა ეს ცხოვრება — დიდ წიგნში წერია.

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. ამოიგო ტანქვეშ სილამაზეც და ნავაიც. უფროსს, გვარიანად განუღლი კარჩაკეტილობის შემდეგ, ქალაქში გასეირნება მოუნდა. თოვლმა ბავშვივით დაუქნია ხელი და გაიტყუა. გაყვა. გასცდა ქალაქსაც და კართან ბურთივით მოგდებულ პანია მრგვალ ტყეში შევიდა.

სახე ცისთვის მიეშვირა და ხელის-



ნინო სადღობელაშვილი

უფროსი და უმცროსი

სამობაო ნოველა

გულისხელა ფიფქები ყვებოდა, ადნებოდა გაღებულ პირში. აწონილი ხეები მხიარულად აწხრილებდნენ ტოტებს და აქ-იქ ჭილყავებზეც მოაკივლებდნენ ხოლმე. გაერთო ამ სახანაობით, გულამომჯდარი მიაჭრაჭუნებდა ფაფუკ თოვლს და მოღერებულ ყელში ღვარებად ჩასდიოდა გამდნარი ფიფქების რუქები.

ჯერ უსიამოვნო ხმა ამოვარდა მინიდან. იგრძნო, რომ ფეხქვეშ რალაც ჩაუტყდა. მეორის გადაბიჯება ვერ მოასწრო, ჩატეხილმა ტოტმა ფეხსაცმლის ძირი აისხლიტა და უფროსი მოწყვეტით დააბერტყა. მერე მთელი ტანის სიმძიმემ სხვა ტოტებიც აატკაცუნა და წამის მესაედში მინისქვეშეთში ჩააპირქვევა.

გონზე რომ მოვიდა, მიმოიხედა — ორმოში ეგდა. ვილაცას საგულდაგულად გაეჭრა ნადირისთვის ან გასართობად. კაცთა მოდგმას რას გაუგებ.

თვალი მინის ზედაპირისკენ ააპარა — თავისი ძალებით ზემოთ ასვლა გამორიცხული იყო. აღარც ასაკი უწყობდა ხელს, აღარც ჯანი. ის კი არა, დაბეჭილი ზურგი და მკლავები ისე სტიკოდა, სიმღერა დაიწყო.

თოვდა უხვად და გადაუღებლად. იჯდა ორმოში შემცივნილი უფროსი და მღეროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ისევ ისე — ყელში და პირში ყვებოდა ფიფქები და ატანდა ნერწყვში დამბალ სიმღერის სიტყვებს, ილუკებოდა ფიფქებს შიგადაშიგ. რამდენი დრო გავიდა, საათი, წელიწადი?... თოვლი გახდა ჯერ მოლურჯო, მერე ნაცრისფერი, წავიდა შავისკენ, რადგან, მოგესხნებოდა, ტყეში ადრე ლამდება და ყველაფერს იქ თავისი ფერი აქვს — დღეს — დღის, ღამეს კი — ღამის.

ორმოსთან უცებ შუქის გორგალი გასრიალდა. მერე თავიც გამოჩნდა. ფიფქებთან ერთად გადმოვიკიდა ორმოს ტუჩთან და იქაურობა მოათვალიერა.

უფროსმა სიმღერა შეწყვიტა და შუქის პატრონ თავს დაძაბული დააკვირა.

— ვინა ხარ? — ფრთხილად იკითხა.

უმცროსი იყო. ორივეს სუნთქვა შეეკრა. მერე ისევ უმცროსმა მოახერხა — სწრაფად მოქმედებდა, ქამარი მოიხსნა და ერთი ბოლო უფროსს ჩაანოდა, მეორე თვითონ დაიხვია მაჯაზე. უფროსმა ქამრის ბალთა თავის ქამარს ჩააბა. ხელებიც მიამშველა. უმცროსმა მთელი ძალა მოიხმო და რამდენჯერმე მოქაჩა. უფროსი დანდობილად აპყვა და საფეხურებივითაც

გამოჭრა ღრმულის კედელზე. „არც ისეთი ძნელი ყოფილა, ნეტავ, მეცადა“ — გულში ინანა.

ბოლოს უფროსის მხრებს ჩააფრინდა უმცროსი და გაჭირვებით გადმოიტირია. ცოტა ხანს ორივე ორმოს გასწვრივ გვერდიგვერდ ეგდო. სულს ითქვამდნენ.

მერე უფროსმა ჯიბეში სიგარეტი მოიკითხა. დამბალი და დანესტილი იყო.

— არ ვენევი, — მხრები აიჩჩა უმცროსმა.

— რა ხართ ეს ახალგაზრდები, — გაელშია უფროსს.

— რა ვართ?! — პირის ორთქლთან თავმოყრილ ხელისგულს ჰკითხა უმცროსმა.

თოვდა გამეტებით და უთავბოლოდ.

— შენც აქ გყვარებია სეირნობა? — როგორმე რომ გაერკვია უფროსს, რამ მოახვედრა უმცროსი ორმოს თავზე.

— მყვარებია, — როგორც იქნა, გაიღიმა უმცროსმა.

მერე ისევ ჩუმად ისხდნენ.

— გაგიცანი, როგორც იქნა, — გახედა უფროსმა.

უმცროსმა თავი დაუქნია.

— წელან, იქ რო ვიჯექი, რაზე ვფიქრობდი, იცი?

— რაზე?

— ყველაფერი მაქვს. ყველაფერი. მხოლოდ სიცოცხლე მაკლია-მეთქი. აი, ეს რომ მქონდეს, ცოტა კიდევ, სულ ცოტა.

უმცროსმა თვალეზში შეხედა. ისეთი ალალი, კეთილი და ბავშვური თვალეზით!

— გავიყინებით, დავიძრათ! — თქვა უფროსმა და აღმოაჩინა, რომ საკუთარ თავზე მეტად უმცროსზე ზრუნავდა.

ტყის წყვდიადში მოუწიათ გზის გამოკვალვა. თოვლზე გასრიალებული ფარნის შუქი ბრწყინავდა მხოლოდ და შორიდან გამომკრთალი ქალაქის სიციმცით.

ლაპარაკობდნენ ძალიან სუფთა და გემრიელი სიტყვებით. ათასში ერთხელ თუ დაიბადება ასეთი სიტყვები და ასეთი წუთები — ადამიანთან სალაპარაკოდ.

ხანდახან კი, ფეხს რომ ღრმად ჩაადგამდა ხოლმე თოვლში უფროსი, ჩაყვებოდა შუქრავი თანამსავით წერილი ეჭვი და ნააბორძიკებდა.

ექვცი არა, უფრო ნატვრა — ნეტავი, ეს ყველაფერი სიზმარი არ აღმოჩნდესო. როგორც ჩვენი ცხოვრება მთლიანად. როგორც ეს სამყარო, ეს თოვლი და ეს სილამაზე.



...ქვა, ფოთოლი, კარი, რომელსაც ვერ მივაგენით; ქვაზე, ფოთოლზე, კარზე. და ყველა დავინყებულ სახეზე.

მიშვლები მარტოდმარტო მოვდივართ დევნილობაში. ბნელ სამოში ყოფნისას არ ვიცით, როგორია დედის სახე; მისი სხეულის სატუსალოდან მოვდივართ დედამინის ენით უთქმელ და აუნერელ სატუსალოში.

რომელი ჩვენგანი იცნობს თავის ძმას? რომელ ჩვენგანს ჩაუხედავს მამამისის გულში? რომელი ჩვენგანი არ დარჩენილა სამუდამოდ სატუსალოში ჩაკეტილი? რომელი ჩვენგანი არ არის სამუდამოდ უცხო და მარტოსული?

ჰოი, ცხელ ლაბირინთებში გამქრალის ამოებავ, ჰოი, დაკარგულო, ძალაგამოლეულ, მინავლულ ნაკვერჩხლებზე მოციმციმე ვარსკვლავებს შორის დაკარგულო! უტყვე მოგონებებში ვეძებთ დიად, დავინყებულ ენას, ზეცაში მიმავალი, დაკარგული ბილიკის დასასრულს, ქვას, ფოთოლს, კარს, რომელსაც ვერ მივაგენით. სად? როდის?

ჰოი, დაკარგულო, ქარისგან გამოგლოვლო აჩრდილო, დაგვიბრუნდი.

1

უცნაურია ბედისწერა, რომელიც ინგლისელს გერმანელთან მიიყვანს; მაგრამ ბედისწერა, რომელსაც ადამიანი ეფსომიდან ჯერ პენსილვანიაში, ხოლო მერე ალტამონტზე გადმოფარებულ მთებში მიჰყავს, მამლის ამაყი, მარჯნისფერი ყვილისა და ანგელოზის ქვაში გამოკვეთილი, სათნო ღიმილის თანხლებით — მოსილია შემთხვევის ბუნდოვანი სასწაულის საბურველით, რომელიც ქმნის ახალ ჯადოსნობას მტვირნიან სამყაროში.

ყოველი ჩვენგანი ერთობლიობა უთვალავი ამბისა და შეგრძნებისა: საითაოდ გამოაკელით ყველაფერი, სანამ მხოლოდ სიშიშვლე და ღამე არ დაგრჩებათ, და დაინახავთ, ოთხი ათასი წლის წინ როგორ დაიწყო კრეტაზე სიყვარული, რომელიც დასრულდა გუშინ, ტეხასში.

თესლი ჩვენი განადგურებისა აყვავდება უდაბნოში, საღებავი ჩვენი განკურნებისა ხარობს მთის კლდეებთან, და თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას თან სდევს ჯორჯიელი კახა, რადგან ლონდონელი ჯიბის ქურდი სახრჩობელას გადაურჩა. ყოველი მომენტი ორმოცი ათასი წლის ნაყოფია. ნოთებად ქცეული დღეები ბუზებზე მიზუზუნებენ შინ — სიკვდილისკენ და ყოველი წამი სარკმელია ნებისმიერ ეპოქაში.

ესეც წამია:

ინგლისელი, სახელად ჯილბერტ გონტი, მოგვიანებით განტით რომ შეიცვალა (ალბათ იანკების ფონეტიკის ხათრით), 1837 წელს ბრისტოლიდან იალქნებიანი გემით მოვიდა ბალტიმორში. დუქანი კი იყიდა, მაგრამ მოგება მალევე გადაუშვა უძირო ხახაში. მერე დასავლეთით, პენსილვანიაში წაეხეტა, ხიფათიანი ცხოვრება ისე გაათრია, რომ ხან მამლებს აჩხუბებდა კალოებზე იქაურ ჩემპიონებთან, ხან სოფლის ციხეში გატარებული ღამის შემდეგ ჯიბეგაფხვნილი გარბოდა და ბრძოლის ველზე ტოვებდა დაღუპულ ფალავანს, უდაბნელ სახეზე კი ფერმორის ვეება კასტეტის ანაბეჭდი ეტყობოდა. თუმცა ყოველთვის გარბოდა და ბოლოს, გერმანელებთან რომ მოხვდა მოსავლის აღებისას, ისე აუჩუყა გულე მათი მინის ბარაქამ, რომ ღუზაც იქ ჩაუშვა. ერთ წელს მათი ტანსრული, ახალგაზრდა ქვრივი შეირთო ცოლად — კოპნია ფერმის პატრონი; სხვა გერმანელებივით ეს ქალიც მოხიბლა მოგზაურის სულისკვეთებით და პომპეზური მეტყველებით, განსაკუთრებით, როცა დიდი ედმუნდ კინის ყაიდაზე კითხულობდა ჰამლეტს. ყველა იმას ამბობდა, ეს კაცი მსახიობი უნდა გამოსულიყო.

ინგლისელს შვილები ეყოლა — ქალიშვილი და ოთხი ვაჟი. ოილად და უზრუნველად ცხოვრობდა და მოთმინებით უძღვებდა ცოლის მწარე, მაგრამ სამართლიან ენას. წლები მიდიოდა, კაცს ნათელ, მახვილ თვალეში მზერა გაუხუნდა, ქუთუთოები ჩამოეკიდა, ერთ დროს ახოვანი ინგლისელი ახლა მიიმედ დააფრატუნებდა ნიკრისიან ფეხებს: ერთ დილას, ცოლი ჯიჯღინით რომ მიადგა გასაღვიძებლად, დამბობი გარდაცვლილი დახვდა. დატოვა ხუთი შვილი, იპოთეკური ვალი და ღიად დარჩენილ, უცნაურ თვალეში ჩამდგარი ნათელი — ის, რაც არ მომკვდარა: მოგზაურობის ვნებიანი და იდუმალი წყურვილი.

გამომცემლობა „არტანუჯი“ გამოსაცემად ამზადებს ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის, ტომას ვულფის, ცნობილ რომანს „მოხედე შენს სახლს, ანგელოზო.“ ვთავაზობთ ფრაგმენტს მომავალი ნივნიდან.

ტომას ვულფი

მოხედე შენს სახლს, ანგელოზო



აქ მოვეშვით ინგლისელს თავისი მემკვიდრეობით და ამერიკიდან მის შთამომავალს მივხედოთ, იმას, ვისაც უანდერდა მარადიული წყურვილი — მეორე ვაჟს, ოლივერი რომ ერქვა. გრძელი ამბავია, თუ როგორ იდგა ბიჭი გზისპირას, დედამისის ფერმასთან, როგორ დაინახა მტვერში ამოგანგლული აჯანყებულები, გეტის-ბურგისკენ მიმავალ გზაზე რომ მიაბიჯებდნენ; როგორ ჩაუშუქდა ცივი თვალეები, დიადი სახელის — „ვირჯინიას“ გაგონებაზე; ომის ბოლო წელიწადს, ჯერ თხუთმეტი წლისა, როგორ მიუყვებოდა ქუჩას ბალტიმორში და როგორ დაინახა პატარა მალაზიაში სიკვდილის გლუვი, გრანიტის ფილები, გამოქანდაკებული კრავები და ქერუბიმები, ცივ, ჭლექიან ფეხებზე შემდგარი ანგელოზი, რბილი ქვის იდიოტური ღიმილით — მაგრამ ვიცი, რომ ცივი და ცარიელი მზერა იმ იდუმალმა და ვნებიანმა წყურვილმა ჩაუშუქა, მკვდრის თვალეებშიც რომ ცოცხლობდა, და ფენერჩ-სტრიტიდან ფილადელფიის იქით წაიყვანა. შრომის ქვისღერიანი დიდი ანგელოზის შემხედვარე ბიჭს ცივი და უსახელო აღტაცება დაეუფლა. დიდრონი ხელების გრძელი თითები მუშტი შეკრა. იგრძნო, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად საჭრისით ნათიფად კვეთა უნდოდა. უნდოდა, რაღაც ბნელი და გამაოთხებელი, სულში რომ უტრიალებდა, ქვაში გადაეტანა. უნდოდა, ანგელოზის თავი გამოეკვეთა.

ოლივერი მალაზიაში შევიდა და ბრგე, ნევრებიან კაცს, ხელში ხის ჩაქუჩი რომ ეჭირა, ჰკითხა, სამუშაო ხომ არა გაქვითო. ქვისმთელეს შეგირდად დაუდგა. იმ მტვირნიან ეზოში ხუთი წელი იმუშავა. ქვისმთელი გახდა. შეგირდობა რომ დაასრულა, უკვე კაცი იყო.

ვერც ვერასოდეს მიაგნო. ვერასოდეს ისწავლა ანგელოზის თავის გამოთლა. მტრეყვის, კრავის, მარმარილოს გლუვი, შეტყუებულები სიკვდილის ხელებისა და მშვენიერი, ნატიფი ასოებისა — კიბატონო, ანგელოზისა — ვერა. და კიდევ — დანაკარგით სავსე, გაფლანგული წლები — ბობოქარი წლები ბალტიმორში, მუშაობა და გატყუებულები სიმთვრალე, ზუთის და საღვინის თეატრი, ქვისმთელეს რომ ანადგურებდა: კეთილშობილი დეკლამაციის ყოველ ინტონაციას იმასხროვებდა და მერე ბუტბუტით დაბიჯებდა ქუჩებში, უზარმაზარი, მეტყველი ხელების სწრაფი, მგზნებარე შესტებით — ეს ყველაფერი ბრმად ბორიალი და ხელისცეცება ჩვენს დევნილობაში, საღებავადასმული სურვილი, როცა უხმოდ ვიხსენებთ, ვეძიებთ დიად, დავინყებულ ენას, დაკარგულ ბილიკს ზეცაში, ქვას, ფოთოლს, კარს. სად? როდის?

ვერც ვერასოდეს მიაგნო, და ტორტმანით დაეშვა კონტინენტის მეორე მხარეს, რეკონსტრუირებულ სამხრეთში — უცნაური, ველური, 6,4 ფუტის სიმაღლის ფიგურა, ცივი, ეკლიანი თვალეები, კეხიანი ცხ-

ვირი, აზვირთებული რიტორიკა, უაზრო, ახირებული ლანძღვა — ისეთივე პირობითი, როგორც კლასიკური ეპითეტები, მთელი სერიოზულობით რომ აფრქვევდა; თუმცა ამ დროს ძლივს შესამჩნევია, მსუსხავი, ღიმილი უკროდა თხელი, მკენესარე პირის კუთხეებთან.

ბიზნესი სიდენიში დააფუძნა, შუა სამხრეთის ერთ-ერთი შტატის პატარა დედაქალაქში, ფხიზელ და გამრჯე ცხოვრებას ეწეოდა, მუდამ თან სდევდა დაკვირვებელი თვალი იმ ხალხისა, ჯერ კიდევ რომ ვერ მოენლენინათ დამარცხება და სიძულვილი, ბოლოს კარგი სახელი დაიმკვიდრა და მიიღეს კიდევ, ცოლად შეირთო ათი წლით უფროსი, გაძვალტყავებული, ჭლექიანი მინაბერა, თუმცა ქალს დანაზოგიც ჰქონდა და დაოჯახების ურყევი სურვილიც. თვრამეტ თვეში კი ისევე აყმუვლებულ მანიაკად იქცა, ცოლი ფეხი ლაპაპა ლიანდაგზე ედგა, პატარა ბიზნესი დაენგრა, და სინტია, მისი ცოლი — რომელზეც ნათესავეები ამბობდნენ, ქმარმა დღე მოუსწრაფაო — ერთ ღამეს უეცრად მოკვდა სისხლჩაქცევით.

ასე რომ, კვლავ ყველაფერი გაჰქრა — სინტია, სახელოსნო, რის ვაი-ვაგლახით მოპოვებული შექება სიფხიზლისათვის, ანგელოზის თავი — დაიარებოდა ბნელ ქუჩებში, ღრიალით წყევლიდა აჯანყებულთა გზას, მათ მუქთაზრობას; მაგრამ შიშით, დანაკარგით და მონანიებით დასნეულებული თანდათანობით იკუნტებოდა ქალაქის ბრალმდებელი მზერის წინაშე, და რაკი ხორციც თანდათანობით ადნებოდა გაძვალტყავებულ სხეულზე, იჯერებდა, რომ სინტიას სენი ახლა მასზე აპირებდა შურისძიებას.

ოცდაათს გადაბიჯებული იყო, მაგრამ გაცილებით უფროსს ჰგავდა. სახეზე ყვითელი ფერი ედო, ლოყები ჩაცვიფნოდა; ცვილივით კეხი ნისკარტს მიუგავდა. გრძელი, ყვიისფერი უღვაში მგლოვიარედ ჩამოჩაჩვდა.

უსაშველო ლოთობის შემოტყევებმა ჯანმრთელობა დაუნგრია. სიგამხდრისგან ძვალი და ტყავი დარჩა, ახველებდა. ახლა, მიუსაფარ და მტრულ ქალაქში, სინტიაზე ფიქრობდა და შეეშინდა — ტუბერკულოზი მაქვს და ვკვდები.

ასე რომ, მარტოსულმა და გზაბნეულმა, ამქვეყნად წესრიგისა და საყრდენის ამოად მაძიებელმა, ფეხქვეშ მინაგამოცლილმა ოლივერმა უმინზო ბოდილი განაახლა კონტინენტის გარდვიარედო. დასავლეთით გაუხვია მთების დიადი ციხესიმაგრისკენ, მთებს იქით მისი სახელგატყეხილობის ამბავი არავინ იცოდა, და იმედა ჰქონდა, რომ იქ ჰპოვებდა განმარტოებას, ახალ ცხოვრებას და აღდგენილ ჯანმრთელობას.

გაძვალტყავებულ აჩრდილს თვალეები ისევ იმგვარადვე ჩაუშუქდა, როგორც ახალგაზრდობაში ჰქონდა.

მგზავრობა მთელი დღე გაგრძელდა — ოლივერი დასავლეთით მიეშურებოდა —

ოქტომბრის სველი, რუხი ცის ქვეშ, უზარმაზარი შტატის გადავლილმა, ფანჯრიდან დაღვრემილი გასცქეროდა თვალუწვედნელ, დაუშუშავებელ მინას — აქა-იქ რომ დაეხნათ უზადრუკ და სახელდახელოდ შეკონინებულ ფერმებთან, რომლებიც პანანინა საკერებლებივით ჩანდა ველურ ბუნებაში; გულში სიცივე ჩაუდგა და ტყვიასავით დაუშვიძმა. გაახსენდა უზარმაზარი ბელეები პენსილვანიაში, სიმნიფისგან თავდახრილი ოქროს თავთავები, დოვლათი, წესრიგი, გაკრი-ალებული ხალხის ყაირათიანობა. გაახსენდა, როგორ დაიძრა იქიდან, წესრიგისა და ადგილის საძიებლად, ფიქრობდა თავის არეულ, ბობოქარ ცხოვრებაზე, ბუნდოვან და გადაბნულ წლებზე, თავისი ახალგაზრდობის ალისფერ უდაბნოზე.

ღმერთო, შენ მიშველე! — გაფიქრა, — ვბერდები! რატომ აქ?

გონებაში უამური პროცესისავით ჩაიარა წლების ლანდებმა. უეცრად მიხვდა, რომ მისი ცხოვრება ერთიმეორეს მიყვლებულმა შემთხვევებმა განსაზღვრა: გიჟმა აჯანყებულმა, არმაგედონს რომ უმღეროდა, გზაზე დარხეულმა ბუკის ხმამ, ჯარის ჯორების ფლოქვებმა, ანგელოზის სულელმა, თეთრმა სახემ მალაზიაში, თეოების გამომწვევი ტორტმანით ჩავლილმა კახპამ. სითბოდან და ბარაქიდან გამოზარბაცდა ამ უნაყოფო მინაზე: მერე, ფანჯრიდან რომ გაიხედა და დაინახა ოხშივარიანი, დაუშუშავებელი მინა, პიემონტის ციცაბო, მოუვლელი აღმართი, ნითელი თინხარის ტალახიანი გზები, ჭუჭყიანი ხალხი, საღვურებზე რომ იტკენებოდა — აღვირზე მოუქნელად დახრილი, გამხდარი ფერმერი, მუქთახორა ზანგი, ჩოფურა ხეპრე, მოღუშული, გაფითრებული ქალი ხელში აყვანილი ტურტლიანი ბავშვით — ბედისწერის უცნაურობამ შიშის თავზარი დასცა. აქ რამ მიიყვანა — თავისი ახალგაზრდობის სუფთა, გერმანული ყაირათიანობიდან როგორ მოხვდა რაქიტინების ამ უნაყოფო, გაპარტახებულ მინაზე?

მატარებელი აქოთებულ გზაზე მირახრახებდა, გადაუღებლად წვიმდა, გამცილებელი მკვირცლად შემოვიდა და ჭუჭყიანი პლუმის ვაგონის ბოლოს, ერთი ვედრო ქვანახშირი ჩაცალა. მიტრიალებულ სკამებზე გაშლართული ტეტების ჯგუფს ხმადალალი, უაზრო სიცილი აზანზარებდა, ღრჭიალი ბორბლების ხმაური ზარის მწუხარე რეკამ გადაფარა. უსასრულო ლოდინის ზუზუნი სარკინიგზო კვანძის ქალაქში, მთის ძირას. მერე ვაგონი ისევ დაიძრა და ფართოდ გაშლილ, დატალულ სივრცეს გაუდგა.

ზინდი ჩამოწვა. ბურუსში უზარმაზარი მთები აღიმართა. მთის ფერდობზე შეფენილ ქოხებში ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდა პატარა, ნისლისფერი ნათურები. მატარებელი ჯაყყაყით მიცოცავდა წყლის ვერცხლისფერ ზოლზე ლანდებში გადაჭიმულ, მაღალ ესტაკადაზე. შორეთში, ზემოთაც და ქვემოთაც, ვინრო ხეობებში, ფლატეებზე, მთის ფერდობებზე გაჩხერილიყო კვამლის ბუმბულებით მორთული, სათამაშოებივით ქოხები. მატარებელი რის ვაი-ვაგლახით მიიკლავებოდა უსწორმასწორო, ნითელ გზაზე. დაღამებულზე ოლივერი პატარა ქალაქში, ოლდ-სტოკეიდში ჩამოვიდა; ლიანდაგი აქ მთავრდებოდა. მთების უკანასკნელი, ვეება კედელი გაქვავებული გადმოდგომდა თავზე. პატარა, დაღვრემილი სადგურიდან გამოსულ ოლივერს სოფლის მალაზიის გაქონილი ლამპის შუქის დანახვაზე ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს იმ უზარმაზარი მთების წრეში ვეება ნადირივით მიხობავდა მოსაკვდომად.

მეორე დილას ეტლით გაუდგა გზას. გეზი პატარა ქალაქ ალტამონტისკენ ჰქონდა აღებული, რომელიც მთების ვეება გალავნის რკალიდან ოცდაოთხი მილით იყო დაშორებული. ცხენები ნელა მიათრევდნენ ეტლს მთის აღმართზე; ოლივერს ხასიათი ცოტათი გამოუყვებდა. გვიანი ოქტომბრის რუხ-ოქროსფერი დღე იდგა, ნათელი და ქარიანი. მთის ჰაერი სუსხიანად იკბინებოდა და ელვარებდა: ზემოთ ქედი ლივლივებდა, სულ ახლოს იყო — თვალუწვედნელი, მოსუფთავებული, ყუაყოფო. ცისკენ მიინვედნენ ხეები — გაძვალტყავებული და გაშუშებული: ფოთოლი თითქმის ბოლომდე შემოძარცვოდა. ცა სავსე იყო ღრუბლების ქარიანი თეთრი ფთილებით; ნისლის სქელი ფრთა ნელ-ნელა იღვრებოდა მთის ბასტიონზე.



ტომას ვულფი მოხელე პენს სახლს, ანგელოზო

დასასრული

— მამა, — ლედის შესაფერი ღირსებით წარმოთქვა ელიზამ, როცა ოლივერი პირველად შეიყვანა პატარა სახლის მისაღებ ოთახში, — მინდა, მისტერ განტი გაგაცნო.

მაიორი პენტლენდი ნელა წამოდგა ბუხართან მიმდგარი სარწვეველა სავარძლიდან, დიდი დანა დაკეცა და ნახევრად გათლილი ვაშლი ბუხრის თაროზე დადო. ბაქუსმა ჯოხის თლას თავი ანება და დიდსულოვნად მიაცქერდა, უილმა, რომელიც ჩვეულებრივად მოკლე და სქელ ფრჩხილებს იჭრიდა, წამით მოაშორა თვალი საქმეს, სტუმარს ახედა და მიესალმა — თავი ჩიტივით დაუქნია და თვალი ჩაუკრა. აქ კაცები გამუდმებით ჯაყვებით ირობდნენ თავს.

მაიორი პენტლენდი ნელ-ნელა გაემართა განტისკენ. ასე, ორმოცდათხუთმეტი წლის ჯგუფი, ხორცსავსე კაცი იყო, დაჟღაჟა სახე ჰქონდა, პატრიარქივით წვერი და თავისი გვარის დამახასიათებელი მსხვილი, კმაყოფილი ნაკეთები.

— უ. ო. განტი, არა? — ჰკითხა განელილი, დათაფლული ხმით.

— დიას, — მიუგო ოლივერმა, — ასეა.

— რასაც ელიზა თქვენზე ჰყვება, — განაგრძო მაიორმა და თავის აუდიტორიას ნიშანი მისცა, — ვაპირებდი მეთქვა, რომ ელ. ე. განტი აჯობებდა.

ოთახში პენტლენდების ბრიყვეული, ნასიამოვნები სიცილი გაისმა.

— ეი! — წამოიძახა ელიზამ და ხელი მსხვილი ცხვირის ნესტოზე მიიღო, — კარგი რა, მამა! სირცხვილია! განტმა გაიღიმა — გულსგარეთ, ვითომ მხიარულად. უბადრუკი, ბებერი თაღლითი, გაიფიქრა მან. ერთი კვირაა ემზადება.

— უილს ხომ ადრეც შეხვედრიხარ, — უთხრა ელიზამ. — ადრე და მალე, — თქვა უილმა და მკვირცხლად ჩაუკრა თვალი.

სიცილი ჩაწყნარდა და ელიზამ განაგრძო: — ეს კი... როგორც იტყვიან... ძია ბაქუსია.

— დიას, სერ, — თქვა ბაქუსმა და სახე გაუნათდა, — ცხოვრებასავით დიდი და ორჯერ უფრო ყოჩაღი.

— სხვები ბაქუსს უძახიან, — თქვა უილმა და ყველას მკვირცხლად ჩაუკრა თვალი, — მაგრამ აქ, ოჯახში პეგასს ვუძახით.

— ალბათ... — შეპარვით წამოიწყა მაიორმა პენტლენდმა, — ნაფიცო მსაჯული ხშირად ყოფილხარ?

— არა, — მიუგო ოლივერმა და გადაწყვიტა, დროა, ყველაზე უარესს გაყინული ღიმილით შევხვდეთ, — რატომ?

— იმიტომ, — თქვა მაიორმა და ისევ გარემოში მიმოიხედა, — რომ მე მგონი, დიდი გალანტური ვინმე ბრძანდებით.

მერე, ამ სიცილ-ხარხარში, კარი გაიღო, და კიდევ რამდენიმე ადამიანი შემოვიდა — ელიზას დედა, უბრალო, დაძაბუნებული ქალი, ჯიმი — დაჟღაჟა, ტახივით ყმანვილი, მამამისის უწვერული ალიკვალი, თადუხი — წყნარი, ლოყანითელი, ყავისფერი თმა და თვალები ჰქონდა, ხარს ჰგავდა, და ბოლოს, გრილი — ყველაზე უმცროსი, ტურჩადმობრუნებული ბიჭი, იდიოტურად იღმიჭებოდა და თან უცნაურ, ჭყვიტინა ხმებს გამოსცემდა, რაზეც მთელი ოჯახი დასცინოდა. თერთმეტი წლისა იყო, დეგენერატი, სუსტი, საყმანვილოთი დაავადებული, მაგრამ თეთრი, ნოტიო ხელებით ვილინოდან მუსიკასთან ერთად რაღაც არაამქვეყნიური ამოჰქონდა — ის, რაც არ ისწავლება.

ისხდნენ იქ, ცხელ, პატარა ოთახში, სადაც მწიფე ვაშლის თბილი სურნელი იდგა, მთებიდან უკიდევანო ქარების ზუზუნის მოდიოდა, ისმოდა ფიჭვების გუგუნის და შორეული, შეშლილი, შიშველი ტოტების ჯახაჯახი. და სანამ ფცქენდნენ, ჭრიდნენ, თლიდნენ, საუბარი ხეპრული ხუმრობებიდან თანდათანობით გადავიდა სიკვდილსა და დამარხვაზე: ლაპარაკობდნენ განელილად, მონოტონურად, ავბედითი სიხარბით, ჭორაობდნენ ბედისწერაზე, კაცებზე, სულ ახლახან რომ ჩანვნი მინაში. და როცა მათი ფერდაკარგული ლაპარაკის მიღმა განტს ქარის აჩრდილისებრი გმინვა შემოესმა, თავადაც ჩაიძარბა დანაკარგსა და წყვედიაღში, და მისი სული ჩაიძირა ლამის ორმოში, რადგან იფიქრა, რომ უნდა მოკვდეს, როგორც უცხო; რომ ყველა — ყველა, ამ ძლევათსილი, პენტლენდების გარდა, სიკვდილით რომ ილხენდნენ — უნდა მოკვდეს.

და იმ კაცით, პოლარულ ლამეში რომ იღუპება, იფიქრა თავისი ახალგაზრდობის მდიდარ ველზე: ხორბალზე, ქლიავის ხეებსა და მწიფე თავთავზე. რატომ აქ? ჰოი, დაკარგული!

თარგმანი ნინო ქაჯაიაშ

ტომას სტერნზ ელიოტი ნიგნიდან „მოხუცი ოპოსუმის ნიგნი პრაქტიკული კატების შესახებ“



კატის სახელის მოწიპრება

კატის სახელის მოწიპრება, გითხრათ მართალი, საქმეა ფრიად საშარო და თავშისახლეული, გეტყვით და თუგინდ მექუდეზე გიჟად ჩამთვალეთ, რომ ყველა კატას უნდა ჰქონდეს სამი სახელი.

დია უბრალო უნდა იყოს ერთი მათგანი, საყოველღეო, ვთქვათ, ალოსო ანდა ანხელი, ვთქვათ და, ვიქტორი, ბილ ბილი ან ჯონათანი, მოკლედ, სადაგი, საყველპურო, სადა სახელი. კეთილხმოვანი სახელებიც არსებობს მეტად, ჯენტლმენის ანდა ბანოვანის გამომსახველი, ვთქვათ და, პლატონი, ადმეტუსი ანდა ელექტრა, მოკლედ, სადაგი, საყველპურო, სადა სახელი. თუმცა სჭირდება სხვა სახელიც — თავისი მარტო, საკრუტუნო და საკნატუნო, ნონას რომ მატებს, რომ კუდ-ულვაში უფრო მაღლა აპრიხოს კატამ, რომ მიხვრა-მოხვრას ჩაატანოს მეტი სიზანტე. ამგვარ სახელებს, თუ ინებებთ, დაგიყრით გორად, ვთქვათ, მუნკუსტრეპი, ქუაქსო ან კორიკოპატი, ბომბალურინა, ვთქვათ, იგივე, ან ჯელილორამ, მოკლედ, სახელი ერთადერთი, უბადლო კატის. და მაინც, ყველა ამ სახელის მაღლა და მიღმა ვაყენებ თავგზაამაბნეველ იდუმალ სახელს, რომლის მიხვედრაც არა კაცს არ რგებია იღბლად, რომელიც იცის მხოლოდ კატამ და არსად ამხელს. თუკი თქვენს ფისოს წააწყდებით

გართულს ღრმა ჭვრეტით, თუ გატრუნული და ფიქრებში ჩაფლული ნახეთ, ამის მიზეზი არის ერთი და მხოლოდ ერთი, რომ იგი ეძებს, ეძებს, ეძებს საკუთარ სახელს, ენითუთქმელ და ენითსათქმელ, ენითუსათქმელ, იდუმალებით მოცულსა და მობურულ სახელს.

რამ ტამ ტაგერი

რამ ტამ ტაგერი უკუღმართი არსება გახლავთ, თუკი ბინაში შეიფარებ, ის სახლს ინატრებს, თუ გნოლს მთარმევე, მოინდომებს ხობხის ძვლის გახვრას,

გნოლს მოისურვებს უმალ, თუკი ხობხს მთარმევე, თავზე დაგეშავ — წამსვე ვირთხას მოავლებს ხახას, ვირთხას მიუქსევ — იქვე თავის კისერს მიატკვერს. რამ ტამ ტაგერი უკუღმართი არსება გახლავთ, და რასაც ახლა გეუბნებით, ვიცი და მენდეთ იზამს, რაც ნებავს, გამოგტყუებს სულ ნება-ნება, ხოლო შენ ისლა დაგრჩენია, რომ ბედს დანებდე.

რამ-ტამ-ტაგერი სულ რაღაცას ხლართავს და ბურდავს, თუ შინ, სითბოში შემოიყვან, გაინვეს გარეთ და რადგან მუდამ ეწვალეა ჩაკეტილ ურდულს, სახლში ერთთავად ფხაჭაფხუჭი გაუდის კარებს. ბიუროს უჯრა აირჩია ბოლო დროს ბუდედ, მაგრამ თუ შიგნით მოემწყვდევა, მწარედ ფართხალებს! რამ ტამ ტაგერი სახიფათო არსება გახლავთ და რასაც ახლა გეუბნებით, ყურს იღეთ, გვედრებთ: იზამს, რაც ნებავს, გამოგტყუებს სულ ნება-ნება, ხოლო შენ ისლა დაგრჩენია, რომ ბედს დანებდე.

რამ ტამ ტაგერი აბეზარი არის ნამდვილი, ურჩობის სენით გასულენთია სისხლი და ხორცი, თუ თევზს სთავაზობ, მოუნდება ჯდომა ნადიმად, თუ თევზს არ აჭმევ, არ ინდომებს ჩახობხილს ბოცვრის. ცხვირს აგიბზუებს, თუ მიუტან ნალებს ჩაროზად, მზამზარეულად მორთმეული რაა ნალები?! მაგრამ, თუ დაგრჩა საკუჭნაოს ზედა თაროზე, ნახავ კუდიდან ყურებამდე თეთრად გაღებულს.

რამ ტამ ტაგერი სულ რაღაცას ბურდავს და ხლართავს, ვერ გაუგია, ალერსისგან რაა ხეირი, მაგრამ კალთაში ჩაგებტება კერვაში გართულს, რომ მერე კარგად იხალისოს თვალის სეირით. რამ ტამ ტაგერი უკუღმართი არსება გახლავთ, და სჯობს დავმალო ისე, როგორც ვმალავდი დღემდე: იზამს, რაც ნებავს, გამოგტყუებს სულ ნება-ნება, ხოლო შენ ისლა დაგრჩენია, რომ ბედს დანებდე.

თარგმანი ანი კოპალიანმა



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

